ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
მაგისტრატურა (საბანკო პროცესების მართვა) სამაგისტრო გამოცდის ტესტები
საგანი - „ფინანსები და საბანკო საქმე”

ა) სეგმენტიდან (1-50) უნდა შეირჩეს 10 ტესტი

1. ფინანსური ურთიერთობები არის ფულადი ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია:
ა) საქონლის (მომსახურების) ღირებულების ანაზღაურებასთან;
ბ) ფულადი სახსრების ფონდების შექმნასთან, განაწილება-გადანაწილებასა და გამოყენებასთან;
გ) ფულადი სახსრები სფონდების ფორმირებასთან;
დ) ფულადი სახსრების ფონდების გამოყენებასთან.

2. ფინანსური რესურსები არის:
ა) სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების ფონდების ერთობლიობა;
ბ) საწარმოებისა და ორგანიზაციების განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების ფონდების ერთობლიობა;
გ) სახელმწიფოსა და საოჯახო მეურნეობების განკარგულებაში არსებული ფულადი ფონდების სახსრების ერთობლიობა;
დ) სახელმწიფოს, საწარმოებისა და ორგანიზაციების განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების ფონდების ერთობლიობა.

3. ფინანსების სოციალურ-ეკონომიკური არსი ვლინდება:
ა) ფინანსური რესურსების ფორმირებაში;
ბ) ფინანსური რესურსების განაწილებასა და გადანაწილებაში;
გ) ფინანსური რესურსების გამოყენებაში;
დ) ფინანსური რესურსების მოძრაობაში, რომელიც გვიხასიათებს თუ სახელმწიფო ვის ხარჯზე ღებულობს ფინანსურ რესურსებს და ვისი ინტერესებისათვის იყენებს ამ სახსრებს.

4. ფინანსების განმანაწილებელი ფუნქცია დაკავშირებულია:
ა) სახელმწიფოს მიერ ფინანსების საშუალებით წარმოების პროცესების რეგულირებასთან;
ბ) ფულადი სახსრების ფონდების განაწილება-გადანაწილებასთან;
გ) ფულადი სასხრების ფონდების განაწილებასა და გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებასთან;

დ) სახელმწიფოსა და სხვა მეურნე სუბიექტებისათვის ფულადი სახსრების წრებრუნვის პროცესების მიმდინარეობის შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მიღებასთან.

5. ფინანსების საკონტროლო ფუნქცია სრულდება:

ა) ბიუჯეტის საშუალებით ფულადი სახსრების ფონდების ხარჯვის პროცესში;

ბ) სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტის საშუალებით წარმოების პროცესების რეგულირებისას;

გ) ფულადი სახსრების ფონდების განაწილებისა და გადანაწილების პროცესში;

დ) ფულადი სახსრების ფონდების შექმნის პროცესში.

6. ფინანსების მარეგულირებელი ფუნქცია გულისხმობს:

ა) ფულადი სახსრების ფონდების განაწილებასა და გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებას;

ბ) მეურნე სუბიექტების დეცენტრალიზებული ფულადი ფონდების წრებრუნვას;

გ) სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკას;

დ) ფინანსური ბერკეტების მეშვეობით სახელმწიფოს მხრიდან სამეურნეო სუბიექტების საქმიანობაში ჩარევას.

7. ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური ურთიერთობებიდან ფინანსურს არ მიეკუთვნება:

ა) საწარმოს მიერ ბიუჯეტში გადასახადების გადარიცხვა;

ბ) მოქალაქის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდა;

გ) ერთი საწარმოს მიერ მეორისაგან ნახევარფაბრიკატების შეძენა წარმოების პროცესის განსახორციელებლად;

დ) ერთი მოქალაქის მიერ მეორისათვის ვალის დაბრუნება.

8. დაფინანსების საბიუჯეტო მეთოდი გულისხმობს სახელმწიფოს:

ა) საინვესტიციო პოლიტიკას;

ბ) ფისკალურ პოლიტიკას;

გ) მონეტარულ პოლიტიკას;

დ) ფინანსურ პოლიტიკას.

9. ქვეყნის საფინანსო სისტემა შედგება შემდეგი სამი ძირითადი ნაწილისგან:

ა) ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული და კორპორაციული ფინანსები;

ბ) სახელმწიფო, კორპორაციული და საოჯახო ფინანსები;

გ) ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო ფინანსები;

დ) ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული და საერთაშორისო ფინანსები.

10. ფინანსური ბაზრის ინსტიტუციონალური სტრუქტურის ელემენტებს შორის არ მოიაზრება:

ა) საბანკო დაწესებულებები;

ბ) სპეციალური ბიუჯეტ გარეშეფონდები;

გ) სადაზღვევო კომპანიები;

დ) საფონდო ბირჟები.

11. საბიუჯეტო ფინანსური რეზერვების დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ მათი შექმნის წყაროა:

ა) სადაზღვევო ანარიცხები;

ბ) საწარმოთა და გაერთიანებათა საკუთარი სახსრები;

გ) ფულადი საშუალებები, რომლებიც მთელი საზოგადოების კუთვნილებაა;

დ) ბანკის სასესხო ფონდი და ბიუჯეტის შემოსავლის ხარჯებზე ნამეტი.

12. ფინანსური პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, არის:

ა) საწარმოს შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვა;

ბ) სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ფინანსური ურთიერთობების გამოყენების მიზნით შემუშავებული და განხორციელებული ღონისძიებების ერთობლიობა;

გ) საწარმოსში და ფინანსური ურთიერთობების სისტემა;

დ) სახელმწიფოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობის წესი და რეგლამენტი.

13. ფინანსური მექანიზმი, როგორც ერთიანი სამეურნეო მექანიზმის შემადგენელი ნაწილი, წარმოადგენს:

ა) საწარმოებს შორის ფინანსური ანგარიშსწორების ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობას;

ბ) სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ფინანსური ურთიერთობების ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას;

გ) საწარმოებსა და საოჯახო მეურნეობებს შორის ფინანსური ანგარიშსწორების ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობას;

დ) სახელმწიფოსა და საწარმოებს შორის ფინანსური ანგარიშსწორების ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობას.

14. მრავალვარიანტული ფინანსური საგეგმო პარამეტრების შემუშავებას და მათგან საუკეთესო ვარიანტის შერჩევას უზრუნველყოფს ფინანსური დაგეგმვის:

ა) სისტემურობის პრინციპი;
ბ) ობიექტურობის პრინციპი;
გ) ოპტიმალურობის პრინციპი;
დ) უწყვეტობის პრინციპი.

15. განვლილ კონკრეტულ პერიოდში ფინანსური დაგეგმვის ობიექტის განვითარებაში ჩამოყალიბებული ზრდის ტენდენციების საგეგმო პერიოდში უცვლელად გადატანას გულისხმობს:
ა) საექსპერტო შეფასების მეთოდი;
ბ) ექსტრაპოლაციის მეთოდი;
გ) ნორმატიული მეთოდი;
დ) საბალანსო მეთოდი.

16. ქვეყნის მიკრო- და მაკროეკონომიკური პროგნოზების ერთიან სისტემასთან უშუალო კავშირში საგეგმო ფინანსური პარამეტრების განსაზღვრას გულისხმობს ფინანსური დაგეგმვის:
ა) სისტემურობის პრინციპი;
ბ) ობიექტურობის პრინციპი;
გ) ოპტიმალურობის პრინციპი;
დ) უწყვეტობის პრინციპი.

17. ეკონომიკური თვალსაზრისით, გადასახადი, უწინარეს ყოვლისა, არის:
ა) ფიზიკური და იურიდიული პირების სავალდებულო გადასახდელი;
ბ) სუბიექტის შემოსავლის ნაწილი, რომელიც გადაეცემა სახელმწიფოს განსაკარგავად;
გ) საზოგადოების საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის კუთვნილება და შემოსავლების წყარო;
დ) ფიზიკური და იურიდიული პირების ფულადი შენატანი ბიუჯეტში ან სპეციალურ სახელმწიფო ფონდში კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

18. გადასახადები, შემოღებისა და გადახდის წესის მიხედვით, იყოფა:
ა) საერთო-სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებად;
ბ) საერთო-სავალდებულო და ფაკულტატურ გადასახადებად;
გ) მიმაგრებულ და მარეგულირებელ გადასახადებად;
დ) ერთჯერად და სისტემატურ გადასახადებად.

19. საქართველოს საგადასახადო ორგანოების ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას უზრუნველყოფს:

ა) გადასახადების ამომწურავი ნუსხის პრინციპი;
ბ) საგადასახადო სისტემის სტაბილურობის პრინციპი;
გ) გადასახადების სიმრავლის პრინციპი;
დ) საგადასახადო სისტემის ერთიანობის პრინციპი.

20. საგადასახადო კონტროლის ღონისძიებათა სისტემაში არ შედის:
ა) კონკრეტული დარღვევების აღრიცხვა;
ბ) მართლსაწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთა;
გ) სახელმწიფო სესხის აღება და მასზე გარანტიების გაცემა;
დ) დამნაშავეთა გამოაშკარავება და მათი პასუხისგებაში მიცემა.

21. საქართველოში დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის ან დასაბეგრი იმპორტის:
ა) 16 პროცენტს;
ბ) 17 პროცენტს;
გ) 18 პროცენტს;
დ) 20 პროცენტს.

22. საერთო-სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაში ვლინდება გადასახადების:
ა) მარეგულირებელი ფუნქცია;
ბ) მასტიმულირებელი ფუნქცია;
გ) მაკონტროლებელი ფუნქცია;
დ) ფისკალური ფუნქცია.

23. გადასახადი, რომელიც დგინდება მიწოდებული საქონლის (გაწეული მომსახურების) ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის (მომსახურების) შეძენისას, იწოდება:
ა) პირდაპირი გადასახადად;
ბ) არაპირდაპირ გადასახადად;
გ) საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადად;
დ) ადგილობრივ გადასახადად.

24. საქართველოში გადასახადები წესდება:
ა) პრეზიდენტის ბრძანებულებით;
ბ) კანონით;
გ) მთავრობის დადგენილებით;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით.

25. საქართველოში ადგილობრივი გადასახადების შემოღება ხდება:
ა) კანონით;
ბ) პრეზიდენტის ბრძანებულებით;
გ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით;
დ) მთავრობის დადგენილებით.

26. საქართველოში დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა წარმოებს:
ა) საქონლის მიწოდებამდე 2 დღით ადრე;
ბ) საქონლის მიწოდების თვის ბოლომდე;
გ) საგადასახადო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე;
დ) საქონლის საწყობიდან გატანამდე.

27. მიმდინარე ანუ ოპერატიული ფინანსური კონტროლი ხორციელდება:
ა) საფინანსო ანგარიშგების ანალიზისა და რევიზიის მეშვეობით;
ბ) საფინანსო ოპერაციების განხორციელებამდე;
გ) საფინანსო, საკრედიტო და სხვა ოპერაციების განხორციელების მომენტში;
დ) ბუღალტრული დოკუმენტაციის ანალიზისა და რევიზიის მეშვეობით.

28) საქართველოში, საბიუჯეტო პროექტით გათვალისწინებული შემოსავლებისა და ხარჯების კანონიერებასა და სისრულეს ამოწმებს:
ა) სახელმწიფო აუდიტის სამსახური;
ბ) საბიუჯეტო ოფისი;
გ) პარლამენტში მოქმედი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი;
დ) ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოები.

29. კონტროლი, რომელიც ხორციელდება საწარმოებისა და დაწესებულებების ფინანსური სამსახურების მიერ და, რომლის ფუნქციებში შედის თვითონ საწარმოს და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების სამეწარმეო და ფინანსური საქმიანობის შემოწმება, არის:
ა) ადგილობრივი ფინანსური კონტროლი;
ბ) უწყებრივი ფინანსური კონტროლი;
გ) შიდა სამეურნეო ფინანსური კონტროლი;
დ) საზოგადოებრივი ფინანსური კონტროლი.

30. საქართველოში საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს:

ა) პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი;

ბ) სახელმწიფო აუდიტის სამსახური;

გ) პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი;

დ) დამოუკიდებელ აუდიტორთა ფედერაცია.

31. ფინანსური აუდიტი არ მოიცავს:

ა) აუდიტის ობიექტის ანგარიშისა და ანგარიშგების შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას;

ბ) საქართველოს მთავრობის ანგარიშისა და ანგარიშგების შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას;

გ) საქმიანობისა და ფინანსური სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას;

დ) აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონიერებისა და მიზნობრიობის შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას.

32. შესაბამისობის აუდიტი მოიცავს:

ა) აუდიტის ობიექტის საქმიანობის ან/და განხორციელებული პროგრამების/პროექტების ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას;

ბ) აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონიერებისა და მიზნობრიობის შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას;

გ) შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციის შემოწმებას;

დ) აუდიტის ობიექტის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად მართვის შემოწმებას.

33. ეფექტიანობის აუდიტი მოიცავს:

ა) საქართველოს მთავრობის ანგარიშისა და ანგარიშგების შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას;

ბ) საქმიანობისა და ფინანსური სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას;

გ) აუდიტის ობიექტის საქმიანობის ან/და განხორციელებული პროგრამების/პროექტების ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას;

დ) აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონიერებისა და მიზნობრიობის შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას.

34. ყოვლისმომცველობა, როგორც საქართველოს საბიუჯეტო სისტემის აგების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, გულისხმობს:

ა) ბიუჯეტების პროექტების საკანონმდებლო ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობას;

ბ) ბიუჯეტის ყველა შემოსულობისა და გადასახდელის სრულყოფილად ასახვის აუცილებლობას შესაბამის ბიუჯეტებში;

გ) საბიუჯეტო პროცესის მონაწილე ყველა პირის პასუხისმგებლობას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე;

დ) ყველა სახელმწიფო შემოსულობით სახელმწიფო კონსოლიდირებული ფონდის შექმნას და მის ხარჯვას კანონით დადგენილი წესით.

35. საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტი არის:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტი;

ბ) საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი;

გ) სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი;

დ) ცენტრალური ბიუჯეტი.

36. საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა არის:

ა) ცენტრალური ბიუჯეტი;

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტი;

გ) საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი;

დ) სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი.

37. ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტის და მის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველი ერთეულების ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი არის:

ა) ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი;

გ) ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი;

დ) ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტი.

38. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა იწოდება:

ა) ბიუჯეტის შემოსულობებად;

ბ) ვალდებულებების აღების შედეგად მიღებულ სახსრებად;
გ) ბიუჯეტის შემოსავლებად;
დ) არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებულ სახსრებად.

39. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა იწოდება:
ა) ბიუჯეტის ხარჯებად;
ბ) არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართულ სახსრებად;
გ) ბიუჯეტის გადასახდელებდ;
დ) ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართულ სახსრებად.

40. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისთვის პასუხისმგებელია:
ა) საქართველოს პარლამენტი;
ბ) საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური;
გ) საქართველოს ხაზინა;
დ) საქართველოს მთავრობა.

41. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს საქართველოს პარლამენტი კენჭს უყრის:
ა) არაუგვიანეს 15 ნოემბრისა;
ბ) არაუგვიანეს 30 ნოემბრისა;
გ) არაუგვიანეს დეკემბრის მე-3 პარასკევისა;
დ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

42. დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით მიღებული სახსრები იწოდება:
ა) გათანაბრებით ტრანსფერად;
ბ) სპეციალურ ტრანსფერად;
გ) მიზნობრივ ტრანსფერად;
დ) კაპიტალურ ტრანსფერად.

43. იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს იურიდიული და ფიზიკური პირების სესხებისა თუ სხვა ვალდებულებების დაფარვის პასუხისმგებლობას, იგი გვევლინება:
ა) მსესხებლის რანგში;
ბ) გარანტის რანგში;

გ) კრედიტორის რანგში;
დ) მსესხებლისა და კრედიტორის რანგში.

44. საერთაშორისო ფინანსები არის:
ა) ბანკების, საფონდო და სავალუტო ბირჟების ერთობლიობა;
ბ) საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების ერთობლიობა;
გ) რეგიონული საფინანსო-საკრედიტო და სხვა საერთაშორისო მნიშვნელობის ეკონომიკური ორგანიზაციების ერთობლიობა;
დ) ფინანსური რესურსების ფონდი, რომელიც წარმოიქმნება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების საფუძველზე და გამოიყენება მსოფლიო დონეზე საზოგადოებრივი კვლავწარმოების უწყვეტობისა და რენტაბელობის უზრუნველსაყოფად და საერთაშორისო მნიშვნელობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

45. საჯარო საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობები წარმოიქმნება:
ა) სახელმწიფოებს შორის სახელმწიფოთაშორისი ერთობლივი პროგრამების, საინვესტიციო პროექტების ფარგლებში;
ბ) რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის საქონლის/მომსახურების ყიდვა-გაყიდვის, საჯარიმო სანქციების გამოთხოვის, სესხებისა და გრანტების გაცემის, უცხოური ვალუტის ან ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის გზით;
გ) უცხოურ ორგანიზაციებსა და ეროვნულ საფინანსო სისტემას შორის ბიუჯეტში სავალდებულო გადასახდელების შეტანისას;
დ) უცხოურ საწარმოსა და რეზიდენტს შორის პირველის საქმიანობაში მონაწილეობისათვის დივიდენდების გადახდასთან დაკავშირებით.

46. კერძო საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობები წარმოიქმნება:
ა) რეზიდენტებსა და უცხოურ ბანკს შორის, საბანკო ანგარიშის (მათ შორის, ანაბრებსა და დეპოზიტებზე) გახსნასა და მომსახურებასთან დაკავშირებით;
ბ) სახელმწიფოს ცენტრალურ ბანკსა და უცხოურ ბანკს შორის, ოქრო-სავალუტო რეზერვების ფორმირებასთან დაკავშირებით;
გ) ორ სახელმწიფოს შორის კრედიტის გაცემა-აღებასთან დაკავშირებით;
დ) სახელმწიფოთა შორის გრანტების გაცემის, სხვადასხვა ფინანსური დახმარების ფორმით.

47. სავალუტო ოპერაციების შეზღუდვაზე მიმართული სამართლებრივი ნორმებისა და ღონისძიებების ერთობლიობა არის:
ა) საკრედიტო პოლიტიკა;
ბ) დევიზური პოლიტიკა;

გ) სავალუტო შეზღუდვის პოლიტიკა;
დ) დისკონტური პოლიტიკა.

48. ეროვნული ვალუტის გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში არის:
ა) დევალვაცია;
ბ) სავალუტო შეზღუდვის პოლიტიკა;
გ) რევალვაცია;
დ) სავალუტო რეზერვების დივერსიფიკაცია.

49. ერთი ქვეყნის ვალუტის სხვა ქვეყნის ვალუტაზე გაცვლის შესაძლებლობას მოქ-მედი სავალუტო კურსით გამოხატავს:
ა) რევალვაცია;
ბ) სავალუტო შეზღუდვის პოლიტიკა;
გ) დევალვაცია;
დ) ვალუტის კონვერტირება.

50. ეროვნული ვალუტის კურსის ამაღლებას უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში ნიშნავს:
ა) სავალუტო რეზერვების დივერსიფიკაცია;
ბ) სავალუტო შეზღუდვის პოლიტიკა;
გ) რევალვაცია;
დ) დევალვაცია.

ბ) სეგმენტიდან (51-100) უნდა შეირჩეს 10 ტესტი

51. კორპორაცია სამართლებრივად თავის მფლობელზე:
ა) არ არის დამოკიდებული;
ბ) დამოკიდებულია;
გ) ნაწილობრივად არის დამოკიდებული;
დ) იშვიათად არის დამოკიდებული.

52. მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში კორპორაციის ინვესტორები:
ა) იხდიან ქონების გადასახადს;
ბ) იხდიან მოგების გადასახადს;
გ) ორმაგ დაბეგვრას ექვემდებარებიან;
დ) არ იბეგრებიან.

53. კორპორაციის მფლობელები და კორპორაციის მენეჯერები როგორც წესი:
ა) მართავენ კორპორაციას;
ბ) ერთი და იგივე პირებია;
გ) სხვადასხვა პირებია;
დ) იღებენ დივიდენდებს.

54. ფირმის ფინანსური სახსრების მოზიდულ წყაროს მიეკუთვნება:
ა) საწესდებო კაპიტალი;
ბ) გაუნაწილებელი მოგება;
გ) ფასიანი ქაღალდები;
დ) სარეზერვო ფონდი.

55. ფასიანი ქაღალდები, რომელიც მეორად ბაზარზე იყიდება, პირველად ემიტენტს ახალ ფინანსურ საშუალებას:
ა) აწვდის ;
ბ) არ აწვდის;
გ) მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში აწვდის;
დ) აუცილებლად უნდა აწვდიდეს.

56. ფინანსურ აქტივს წარმოადგენს:
ა) შენობა- ნაგებობები;
ბ) მანქანა მოწყობილობები;
გ) სასაქონლო მატერიალური მარაგები;
დ) დებიტორული დავალიანება.

57. **ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარსა და საინვესტიციო სექტორს შორის:**
ა) პირდაპირი კავშირი არსებობს;
ბ) პირდაპირი კავშირი არ არსებობს;
გ) კავშირი არ არსებობს;

დ) კავშირი უნდა არსებობდეს.

58. კორპორაციის მთავარი მიზანია:
ა) მოგების მაქსიმიზაცია;
ბ) საკუთარი ღირებულების მაქსიმიზაცია;
გ) ფირმის სიდიდის (მასშტაბების) მაქსიმიზაცია;
დ) ფირმის აქტივების მაქსიმიზაცია.

59. ბუღალტრული ბალანსი - საანგარიშგებო წლის განმავლობაში ასახავს ფირმის, როგორც:
ა) საოპერაციო, ისე საინვესტიციო საქმიანობის შედეგებს;
ბ) საფინანსო, ისე საინვესტიციო საქმიანობის შედეგებს;
გ) საფინანსო, ისე საოპერაციო საქმიანობის შედეგებს;
დ) საოპერაციო საქმიანობის შედეგებს.

60. კორპორაცია აქტივს იძენს:
ა) საკუთარი სახსრებით;
ბ) მოზიდული სახსრებით;
გ) ინვესტორთა საშუალებებით;
დ) დანაზოგით.

61. აქტივების საერთო ღირებულება მის მიმართ არსებული საერთო:
ა) მოთხოვნებზე ნაკლებია უნდა იყოს;
ბ) მოთხოვნებზე მეტი უნდა იყოს;
გ) მოთხოვნებს უნდა უდრიდეს;
დ) მოთხოვნებს არ უნდა უდრიდეს.

62. თამასუქი გადახდისათვის ჩვეულებრივ ასახავს დავალიანებას:
ა) მოკლევადიანს;
ბ) გრძელვადიანს;
გ) საშუალოვადიანს;
დ) მოკლევადიანს ან გრძელვადიანს.

63. წმინდა საბრუნავი კაპიტალი მიიღება მიმდინარე აქტივსა და მიმდინარე ვალდებულების:
ა) ჯამით;
ბ) სხვაობით;
გ) ნამრავლთ;
დ) შეფარდებით.

64. დაბეგრას ექვემდებარება:
ა) მთლიანი მოგება;

ბ) წმინდა მოგება;
გ) პროცენტის გადახდის შემდეგ დარჩენილი მოგება;
დ) საოპერაციო მოგება.

65. როდესაც აქტივის საბაზრო ღირებულება საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, საბალანსო ღირებულება აქტივის:
ა) ღირებულებას ზრდის;
ბ) ღირებულებას ამცირებს;
გ) ღირებულებას არ ცვლის;
დ) ღირებულებაზე ნაკლებია.

66. საკუთარი კაპიტალის მულტიპლიკატორი შეიძლება აისახოს:
ა) ნასესხები საშუალების ძირითად აქტივებთან შეფარდებით;
ბ) საკუთარი კაპიტალის ნასესხები საშუალებასთან შეფარდებით;
გ) ნასესხები საშუალების საბრუნავ აქტივებთან შეფარდებით;
დ) ნასესხები საშუალებების საკუთარ კაპიტალთან შეფარდებით.

67. მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი მიიღება მიმდინარე აქტივის:
ა) მიმდინარე ვალდებულებებთან შეფარდებით;
ბ) ვალდებულებებთან შეფარდებით;
გ) საკუთარი კაპიტალთან შეფარდებით;
დ) სულ აქტივებთან შეფარდებით.

68. ნასესეხებ საშუალებასა და საკუთარ კაპიტალს შორი თანაფარდობა წარმოადგენს:
ა) ფინანსურ ბერკეტს;
ბ) მომგებიანობის მაჩვენებელს;
გ) ლიკვიდურობის მაჩვენებელს;
დ) ბრუნვადობის მაჩვენებელს.

69. სამეწარმეო საქმიანობის ყველა შემოსავალი:
ა) იბეგრება;
ბ) არ იბეგრება;
გ) ზოგჯერ იბეგრება;
დ) ყველა შემთხვევაში იბეგრება;

70. ამორტიზაცია დასაბეგრ მოგებას:
ა) არ ამცირებს;
ბ) ზრდის;
გ) ამცირებს;
დ) არ ცვლის.

71. აქტივის ცვეთის ღირებულება აისახება:

ა) ხარჯის სახით;
ბ) მოგების სახით;
გ) ზარალის სახით;
დ) გადასახადის სახით.

72. დაჩქარებული ცვეთის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, აქტივის მომსახურების პერიოდში დაირიცხება ცვეთის:
ა) კლებადი ღირებულება;
ბ) ზრდადი ღირებულება;
გ) თანაბარი ღირებულება;
დ) პროპორციული ღირებულება.

73. ცვეთის ღირებულების დარიცხვის რიცხვთა ჯამის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, უწინარეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ძირითადი აქტივის:
ა) მომსახურების პერიოდი;
ბ) საბალანსო ღირებულება;
გ) სალიკვიდაციო ღირებულება;
დ) მომსახურების პერიოდი და რიცხვთა ჯამი.

74. $(1+r)^n$ **წარმოადგენს:**
ა) დისკონტის კოეფიციენტს;
ბ) კაპიტალის ზრდის კოეფიციენტს;
გ) დისკონტის განაკვეთს;
დ) შემოსავლიანობის ზღვრულ ნორმას.

75. გასესხებული საწყისი ფულადი კაპიტალი ინვესტორის:
ა) გადასახდელია;
ბ) შემოსავალია;
გ) შემოსულობაა;
დ) შემოსავალი და შემოსულობაა.

76. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ნომინალური საპროცენტო განაკვეთის ტოლია იმ შემთხვევაში, თუკი წელიწადში პროცენტი ერიცხება:
ა) მხოლოდ ერთხელ;
ბ) ყოველ კვარტალურად;
გ) უწყვეტად;
დ) ყოველწლიურად.

77. რაც უფრო ხშირია პროცენტის პროცენტზე დარიცხვა, მით უფრო სწრაფად იზრდება:
ა) დღევანდელი ღირებულება;
ბ) გადასახდელების ნაკადის მომავალი ღირებულება;
გ) მომავალი გადასახდელის დღევანდელი ღირებულება;

დ) დღევანდელი და მომავალი ღირებულება.

78. პროცენტი მსესხებლის (ემიტენტის):
ა) შემოსულობაა;
ბ) შემოსავალია;
გ) გადასახდელია;
დ) შემოსავალი და შემოსულობაა.

79. რეალური შემოსავლანობის განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს:
ა) მხოლოდ ფაქტიური შემოსავლიანობა;
ბ) მხოლოდ ნომინალური შემოსავლიანობა;
გ) ნომინალური შემოსავლიანობა და წლიური ინფლაცია;
დ) ფაქტიური შემოსავლიანობა და წლიური ინფლაცია.

80. *n* წლის შემდეგ რთული პროცენტის უწყვეტი დარიცხვით, ვიღებთ გადასახდელის მიმდინარე ღირებულების:
ა) მაქსიმალურ სიდიდეს;
ბ) მინიმალურ სიდიდეს;
გ) რეალურ სიდიდეს;
დ) არარეალურ სიდიდეს.

81. კომპანია ინვესტიციის შემოსავლიანობის განსაზღვრის დროს იყენებს:
ა) კაპიტალიზაციის განაკვეთს;
ბ) დაბანდებასა და შემოსავალს;
გ) კაპიტალურ ხარჯებსა და შემოსავალს;
დ) დისკონტის განკვეთს.

82. ინვესტიციებში ფულის დაბანდება ხელსაყრელია, როდესაც შემოსავლიანობის ზღვრული ნორმა ინვესტიციის:
ა) შემოსავლიანობაზე მეტია;
ბ) შემოსავლიანობაზე ნაკლებია;
გ) შემოსავლიანობას უდრის;
დ) შემოსავლიანობაზე იყოფა.

83. დისკონტის განაკვეთს უწოდებენ:
ა) კაპიტალის მოზიდვის ალტერნატიულ ხარჯებს;
ბ) კაპიტალის ზრდის კოეფიციენტს;
გ) ინვესტიციის შემოსავლიანობას;
დ) დისკონტის კოფიციენტს.

84. დროის განსაზღვრულ პერიოდში ფიქსირებული თანხის, თანაბარი პერიოდულობით გადახდებს, რომელიც ერთი წლის შემდეგ იწყება, ეწოდება:
ა) ჩვეულებრივი ანუიტეტი;

ბ) სასწრაფო რენტა;
გ) სასწრაფო ანუიტეტი;
დ) უვადო რენტა.

85. ანუიტეტის მიმდინარე ღირებულება შეიძლება განვიხილოთ, როგორც:
ა) ორ ზრდად უვადო რენტას შორის სხვაობა;
ბ) ორ უვადო და ზრდად უვადო რენტას შორის სხვაობა;
გ) ორ უვადო რენტას შორის სხვაობა;
დ) ორი უვადო რენტის ნამრავლი.

86. შემოსავლის რეალური ღირებულება წარმოადგენს:
ა) განსაზღვრული სიდიდეს;
ბ) მხოლოდ მოსალოდნელ შეფასებას;
გ) განუსაზღვრულ სიდიდეს;
დ) მიმდინარე ღირებულებას.

87. სესხის ამორტიზაციის დროს თანაბარი გადასახდელების ნაკადში შედის
ა) მხოლოდ პროცენტული გადახდები;
ბ) მხოლოდ ძირითადი თანხის ნაწილი;
გ) როგორ პროცენტული, ისე ძირითადი თანხის გადახდები;
დ) ძირითად თანხას გამოკლებული პროცენტი.

88. ობლიგაციის ფასის ყოველ ერთ დოლარზე ყოველწლიური კუპონური გადასახდელის ოდენობით განისაზღვრება ობლიგაციის:
ა) კუპონური განაკვეთი;
ბ) მიმდინარე შემოსავლიანობა;
გ) საშემოსავლო განაკვეთი;
დ) მიმდინარე ღირებულება.

89. წმინდა დისკონტური ობლიგაციის შემთხვევაში კუპონური გადასახდელი:
ა) იზრდება;
ბ) მცირდება;
გ) არ იცვლება;
დ) ნულის ტოლია.

90. პრივილიგირებულ აქციაზე გადახდილი დივიდენდები მიეკუთვნება კომპანიის:
ა) ხარჯებს და აკლდება მთლიან მოგებას;
ბ) შემოსავალს და ემატება მთლიან მოგებას;
გ) შემოსულობას და ემატება სოპერაციო მოგებას;
დ) გადასახდელს და ის აქციონერის საკუთრებაა.

91. პრივილიგირებული აქციების დივიდენდები დასაბეგრ მოგებას:
ა) ამცირებენ;

ბ) არ ამცირებენ;
გ) ზრდიან;
დ) განსაზღვრავს.

92. ჩვეულებრივ აქციას:
ა) გააჩნია დაფარვის ვადა;
ბ) არ გააჩნია დაფარვის ვადა;
გ) კომპანია ფარავს აქციონერის მოთხოვნის მიხედვით;
დ) კომპანია ფარავს გაკოტრების შემთხვევაში.

93. დროის ნებისმიერ მომენტში, რისკის ერთ კატეგორიას მიკუთვნებულ ყველა ფასიან ქაღალდების ფასები:
ა) ერთნაირ მოსალოდნელ შემოსავლიანობას უზრუნველყოფენ;
ბ) ერთნაირი მოსალოდნელი შემოსავლიანობას ვერ უზრუნველყოფენ;
გ) შემოსავლიანობას ზრდიან;
დ) შემოსავლიანობას ამცირებენ.

94. როდესაც მოსალოდნელი დივიდენდები მუდმივი ტემპებით იზრდება, ასეთი აქციების ღირებულება განისაზღვრება:
ა) ზრდადი უვადო რენტის ღირებულების პრინციპით;
ბ) ჩვეულებრივი ანუიტეტის ღირებულების პრინციპით;
გ) უვადო რენტის ღირებულების პრინციპით;
დ) დაჩქარებული ანუიტეტის ღირებულების პრინციპით.

95. თუკი საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის მაჩვენებელი მცირდება, დივიდენდების ზრდის ტემპი:
ა) იზრდება;
ბ) მცირდება;
გ) არ იცვლება;
დ) მიისწრაფის უსასრულობისაკენ.

96. ფასი მოგების კოეფიციენტს და კაპიტალიზაციის განაკვეთს შორის საიმედო კავშირი:
ა) არსებობს;
ბ) არ არსებობს;
გ) უნდა იყოს;
დ) შეიძლება არსებობდეს.

97. საწარმოს პროგნოზული თავისუფალი ფულადი ნაკადი არის ის ფულადი სახსრები, რომელიც:
ა) კომპანიის ზრდისთვის არის აუცილებელი;
ბ) კომპანიას ზრდისთვის აუცილებელი ყველა ინვესტიციის შემდეგ რჩება;
გ) კომპანია ყველა მიმდინარე ხარჯების დაფარვის შემდეგ რჩება;

დ) ყველა მომავალი ხარჯების დაფარვისთვის არის აუცილებელი.

98. როდესაც საწარმოს თავისუფალ ფულად ნაკადს უარყოფითი მნიშვნელობა აქვს, ეს ნიშნავს, რომ საწარმო:

ა) იძლევა უფრო მეტ ფულად სახსრებს, ვიდრე შთანთქავს;
ბ) იღებს იმდენივე ფულად სახსრებს, რამდენსაც მოიხმარს;
გ) შთანთქავს უფრო მეტ ფულად სახსრებს, ვიდრე იღებს;
დ) არ არის პერსპექტიული.

99. შემოსავლიანობის შიდა ნორმა (IRR) არის დისკონტის ის განაკვეთი, რომელიც საინვესტიციო ფულის ნაკადების წმინდა ახლანდელი ღირებულებას:

ა) ერთამდე გაზრდის;
ბ) ნულამდე დაიყვანს;
გ) ერთამდე შეამცირებს;
დ) პროპორციულად გაიზრდის.

100. უკუგების პერიოდით პროექტის შეფასების ნაკლოვანებას წარმოადგენს ის, რომ უკუგების პერიოდის შემდეგ ფულის ნაკადი:

ა) გაითვალისწინება;
ბ) არ გაითვალისწინება;
გ) არ შეუძლია გათვალისწინოს;
დ) ზოგჯერ ითვალისწინებს.

გ) სეგმენტიდან (101-250) უნდა შეირჩეს 30 ტესტი

101. რომელ ქალაქში და რომელ წელს შეიქმნა პირველი ბანკი მსოფლიოში?
ა) ქ. იერუსალიმში 1409 წელს;
ბ) ქ. გენუაში 1407 წელს;
გ) ქ. პალერმოში 1408 წელს;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

102. რვალი, რომლისგანაც იბეჭდებოდა ფული არის:
ა) ოქროსა და ვერცხლის შენარევი ლითონი;
ბ) სპილენძისა და თუთიის შენარევი ლითონი;
გ) სპილენძისა და ოქროს შენარევი ლითონი;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

103. კომერციული ბანკების საქმიანობის მეოთხე პრინციპი :
ა) არსებული რესურსების ფარგლებში მუშაობის შესაძლებლობას წარმოადგენს;
ბ) ბანკის კლიენტებთან საბაზრო ურთიერთობას ითვალისწინებს;
გ) საქმიანობის რეგულირების იურიდიული თავისუფლებით არის განპირობებული;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

104. კომერციული ბანკების საქმიანობის პირველი ფუძემდებლური პრინციპი:
ა) არსებული რესურსების ფარგლებში მუშაობის შესაძლებლობას წარმოადგენს;
ბ) ბანკის კლიენტებთან საბაზრო ურთიერთობას ითვალისწინებს;
გ) საქმიანობის რეგულირების იურიდიული თავისუფლებით არის განპირობებული;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

105. როდის აღმოაჩინეს მონეტის მოსაჭრელი ორი სიქა და რომელ ზარაფხანას ეკუთვნოდა ის?
ა) 1956 წელს და უფლისციხის ზარაფხანას;
ბ) 1890 წელს და ზუგდიდის ზარაფხანას;
გ) 1934 წელს და არტანუჯის ზარაფხანას;
დ) 1944 წელს და გრემის ზარაფხანას.

106. ახალციხის ზარაფხანა ამოქმედდა:
ა) XI ს. დასაწყისში;
ბ) XIV ს. დასაწყისში;
გ) XII ს. მიწურულს;
დ) XIII ს. მიწურულს.

107. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (ნეპ-ის) გატარების პირველი პერიოდი მოიცავს:
ა) 1929-1932 წლებს;

ბ) 1921-1923 წლებს;
გ) 1932-1935 წლებს;
დ) 1926-1930 წლებს.

108. საბანკო სინდიკატები ანუ კონსორციუმები არის :
ა) ბანკების მიერ ერთიანი საპროცენტო განაკვეთებზე, ერთნაირ დივიდენდურ პოლიტიკაზე შეთანხმება;
ბ) მრავალი ბანკის გაერთიანება, რომლებიც ფორმალურად ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას, ამასთან ისინი ერთი მსხვილი ბანკის ფინანსური კონტროლის ქვეშ იმყოფებიან, რომელმაც მათი აქციების საკონტროლო პაკეტი შეიძინა;
გ) რამდენიმე ბანკს შორის შეთანხმება მათ მიერ ერთობლივი მსვილი ფინანსური ოპერაციების განხორციელების მიზნით, რომელთა შესრულება ერთი ბანკისთვის შეუძლებელია;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

109. ერთსაფეხურიანი საბანკო სისტემა:
ა) ბანკებს შორის ვერტიკალურ კავშირებს, მათი ოპერაციებისა და ფუნქციების უნივერსალიზაციას ეფუძნება;
ბ) ბანკის მხოლოდ ფიზიკურ პირებთან ურთიერთობას ითვალისიწინებს;
გ) ბანკებს შორის ჰორიზონტალურ კავშირებს, მათი ოპერაციებისა და ფუნქციების უნივერსალიზაციას ეფუძნება;
დ) ბანკის მხოლოდ კორპორატიულ კლიენტებთან მცირე მასშტაბის გარიგებებს ითვალისიწინებს.

110. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (ნეპ-ის) გატარების მესამე პერიოდი მოიცავს:
ა) 1929-1932 წლებს;
ბ) 1921-1923 წლებს;
გ) 1932-1935 წლებს;
დ) 1926-1930 წლებს.

111. საბანკო კონცერნები არის:
ა) ბანკების მიერ ერთიანი საპროცენტო განაკვეთებზე, ერთნაირ დივიდენდურ პოლიტიკაზე შეთანხმება;
ბ) მრავალი ბანკის გაერთიანება, რომლებიც ფორმალურად ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას, ამასთან ისინი ერთი მსხვილი ბანკის ფინანსური კონტროლის ქვეშ იმყოფებიან, რომელმაც მათი აქციების საკონტროლო პაკეტი შეიძინა;
გ) რამდენიმე ბანკს შორის შეთანხმება მათ მიერ ერთობლივი მსვილი ფინანსური ოპერაციების განხორციელების მიზნით, რომელთა შესრულება ერთი ბანკისთვის შეუძლებელია;
დ) არცერთი ზემოთქმული.

112. სებ–ის მონეტარული ინსტრუმენტის – ერთდღიანი სესხების კომერციულ ბანკებზე გაცემისას მის უზრუნველსაყოფად არ შეიძლება გამოყენებული იქნეს:

ა) საერთაშორისო საბანკო გარანტიები;
ბ) ბანკების სასესხო აქტივები;
გ) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;
დ) ბანკების საზედამხედველო კაპიტალი.

113. რეპო არის:
ა) კომერციული ბანკებს შორის გარანტირებული სესხება/გასესხების საშუალება;
ბ) კომერციული ბანკებისა და სხვა ორგანიზაციებისთვის სავალუტო რისკის ჰეჯირების საშუალება;
გ) ფასიანი ქაღალდების გაყიდვა შემდგომში იმავე ან მსგავსი ფასიანი ქაღალდების წინასწარ შეთანხმებული პირობებით უკან ყიდვის (გამოსყიდვის) ვალდებულებით;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

114. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქცია:
ა) განახორციელოს საფინანსო სექტორის ზედამხედველობა;
ბ) უზრუნველყოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება;
გ) ხელი შეუწყოს საგადახდო სისტემის უსაფრთხო, მდგრად და ეფექტიან ფუნქციონირებას;
დ) განახორციელოს უსაფრთხო, მდგრადი და ეფექტიანი ფისკალური პოლიტიკა.

115. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს უფლებამოსილება არ არის:
ა) შექმნას სპეციალური დანიშნულების რეზერვები;
ბ) გამოსცეს სამართლებრივი აქტები;
გ) დაამტკიცოს ქვეყნის ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტი;
დ) განიხილოს და დაამტკიცოს საერთაშორისო რეზერვების მართვისა და განკარგვის ძირითადი პრინციპები.

116. სებ–ის მონეტარული ინსტრუმენტის - ერთდღიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი ტოლია:
ა) მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლიუს 1.5%;
ბ) არაუმეტეს სებ-ის ერთდღიან სესხზე დაწესებული პროცენტისა;
გ) მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლიუს 1%;
დ) საჯარიმო (საბაზრ. დაბალი), მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლიუს 1.5%.

117. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის დროს:
ა) წინასწარ არ განისაზღვრება ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელიც უნდა იქნას შენარჩუნებული გრძელვადიან პერიოდში;
ბ) წინასწარ ცხადდება ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელი საშუალოვადიანი პერიოდისათვის;
გ) ხორციელდება ფულის მასის სასურველი ზრდის ტემპის მიღწევა;

დ) ფულის მასა არც მცირდება და არც იზრდება არც გრძელვადიან და არც მოკლევადიან პერიოდში.

118. ჩამოთვლილთაგან რომელი არ შედის საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარულ ინსტრუმენტებში?:
ა) სამომხმარებლო სესხები;
ბ) სადეპოზიტო სერთიფიკატები;
გ) ერთდღიანი დეპოზიტები;
დ) მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები.

119. სებ–ის მონეტარული ინსტრუმენტის - მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს:
ა) მონეტარული პილიტიკის განაკვეთს მინუს 1%;
ბ) მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ტოლია;
გ) მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლუს 1%;
დ) მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლუს 2%.

120. „ფართე“ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა:
ა) მიმოქცევაში ფულად მასაზე ზემოქმედების მეშვეობით ინფლაციასთან ბრძოლაზეა მიმართული;
ბ) სავალუტო ბაზარზე ინვესტიციების მეშვეობით ოპტიმალური სავალუტო კურსის, სააღრიცხვო პოლიტიკისა და მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებზე ზემოქმედი სხვა ინსტრუმენტების მიღწევას ითვალისწინებს;
გ) საკრედიტო პორტფელის მართვას გულისხმობს;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

121. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი-ინფლაციის თარგეთირება დაინერგა:
ა) 2005 წლიდან;
ბ) 2007 წლიდან;
გ) 2009 წლიდან;
დ) 2011 წლიდან.

122. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი შედგება:
ა) 3 წევრისაგან ;
ბ) 5 წევრისაგან;
გ) 7 წევრისაგან;
დ) 12 წევრისაგან.

123. საბანკო ლიცენზის მისაღებად წარმოდგენილ შუამდგომლობას ჩამოთვლილთაგან რომელი დოკუმენტი არ უნდა ერთვოდეს?:
ა) ბანკის რეგისტრაციის შესახებ სასამართლო დადგენილების ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ბ) ბანკის სტარტეგიული განვითარების გეგმა;
გ) დამფუძნებელთა კრების ოქმი;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

124. კომერციული ბანკის დირექტორატის წევრს:
ა) ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში აქვს თავისი უფლებამოსილების სხვებისთვის მთლიანად ან ნაწილობრივ დელეგირების უფლება;
ბ) მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევაში აქვს თავისი უფლებამოსილების სხვებისთვის ნაწილობრივ დელეგირების უფლება;
გ) ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში აქვს თავისი უფლებამოსილების სხვებისთვის მთლიანად დელეგირების უფლება;
დ) არ შეუძლიათ სხვებისათვის თავიანთი უფლებების დელეგირება.

125. 2006 წლის 31 დეკემბრისათვის საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა ყოფილიყო არანაკლებ:
ა) 5,8 მლნ ლარი;
ბ) 9,2 მლნ ლარი;
გ) 6,4 მლნ ლარი;
დ) 12 მლნ ლარი.

126. 2005 წლის 31 დეკემბრისათვის საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა ყოფილიყო არანაკლებ:
ა) 6,4 მლნ ლარი;
ბ) 9,2 მლნ ლარი;
გ) 5,5 მლნ ლარი;
დ) 7,8 მლნ ლარი.

127. კომერციული ბანკის საწესდებო კაპიტალში განსათავსებელი პრივილეგირებული აქციების ნომინალურმა ღირებულებამ საწესდებო კაპიტალის:
ა) 15%-ზე მეტი არ უნდა შეადგინოს;
ბ) 10%-ზე ნაკლები არ უნდა შეადგინოს;
გ) 25%-ზე მეტი არ უნდა შეადგინოს;
დ) 20%-ზე ნაკლები არ უნდა შეადგინოს.

128. იმ შემთხვევაში, როდესაც მიღებული მოგების მოცულობა არასაკმარისია პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდების გადასახდელად, მაშინ მისი გადახდა:
ა) სარეზერვო ფონდის ხარჯზე უნდა განხორციელდეს, ხოლო სარეზერვო ფონდის მოცულობის არასაკმარისობის შემთხვევაში, მისი გადახდა შეიძლება შემდეგი წლის მოგების ხარჯზეც განხორციელდეს;
ბ) აქციონერთა ქონების რეალიზაციის ხარჯზე განხორციელდეს;
გ) კრედიტორთა ქონების რეალიზაციის ხარჯზე განხორციელდეს;

დ) სარეზერვო ფონდის ხარჯზე არ უნდა განხორციელდეს.

129. ოფციონი არის ფასიანი ქაღალდი, რაც მის მფლობელს:
ა) განსაზღვრული რაოდენობის აქციების განუსაზღვრელი დროის განმავლობაში, განუსაზღვრელი თარიღისათვის, განსაზღვრული ფასით ყიდვის ან გაყიდვის შესაძლებლობას აძლევს;
ბ) განსაზღვრული რაოდენობის აქციების განსაზღვრული დროის განმავლობაში, განუსაზღვრელი თარიღისათვის, განუსაზღვრელი ფასით ყიდვის ან გაყიდვის შესაძლებლობას აძლევს;
გ) განსაზღვრული რაოდენობის აქციების განსაზღვრული დროის განმავლობაში, განსაზღვრული თარიღისათვის, განსაზღვრული ფასით ყიდვის ან გაყიდვის შესაძლებლობას აძლევს;
დ) საქონლის (რეალური საქონელი, დაზღვევა, კონტრაქტი და ა.შ.) ყიდვაზე ან გაყიდვაზე განუსაზღვრელ პირობებში შესაბამისი პრემიის (ფასის) გადახდის სანაცვლოდ უფლებას სძენს.

130. ფიუჩერსი არის კონტრაქტი, რომლის მიხედვით მისი გამფორმებელი ინვესტორი:
ა) განსაზღვრული ვადის გასვლამდე თავისთავზე თავისი კონტრაგენტისათვის განსაზღვრული რაოდენობის საბირჟო საქონლის ან ფინანსური ინსტრუმენტების შეთანხმებული ფასით მიყიდვის (ან მისგან შეძენის) ვალდებულებას იღებს;
ბ) განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ თავისთავზე თავისი კონტრაგენტისათვის განუსაზღვრელი რაოდენობის საბირჟო საქონლის ან ფინანსური ინსტრუმენტების შეთანხმებული ფასით მიყიდვის (ან მისგან შეძენის) ვალდებულებას იღებს;
გ) განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ თავისთავზე თავისი კონტრაგენტისათვის განსაზღვრული რაოდენობის საბირჟო საქონლის ან ფინანსური ინსტრუმენტების შეთანხმებული ფასით მიყიდვის (ან მისგან შეძენის) ვალდებულებას იღებს;
დ) განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ თავისთავზე თავისი კონტრაგენტისათვის განსაზღვრული რაოდენობის საბირჟო საქონლის ან ფინანსური ინსტრუმენტების ნებისმიერი ფასით მიყიდვის (ან მისგან შეძენის) ვალდებულებას იღებს.

131. 2007 წლის 31 დეკემბრისათვის საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა ყოფილიყო არანაკლებ:
ა) 10,6 მლნ ლარი;
ბ) 9,2 მლნ ლარი;
გ) 5,5 მლნ ლარი;
დ) 7,8 მლნ ლარი.

132. საქართველოში მაქსიმალური დეპოზიტური ანუ ფულადი მულტიპლიკატორი ტოლია:
ა) 1/ 0,10;
ბ) 1/ 0,12;

გ)1/ 0,15;
დ)1/ 0,20.

133. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკთაშორის საკრედიტო ბაზარზე დეპოზიტურ ექსპანსიას და ფულადი მასის ზრდას ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტორი არ აჩერებს?:
ა) მოგებაში დაინტერესება;
ბ) ღია ბაზრის არსებობა;
გ) დეპოზიტის ფასიანობა;
დ) კრედიტის ფასიანობა.

134. ბანკის (საბანკო) მულტიპლიკატორის სიდიდე ტოლია:
ა) მაღალი ეფექტიანობის ფულის შეფარდების ეკონომიკაში ფულადი მასის მოცულობასთან;
ბ) ერთი შეფარდებული სავალდებულო რეზერვების ნორმატივთან;
გ) სავალდებულო რეზერვების ნორმატივის შეფარდების ერთთან;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

135. კომერციული ბანკების მიერ ცენტრალურ ბანკში სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე განთავსებული რეზერვები ცენტრალური ბანკისათვის:
ა) პასივებს წარმოადგენს;
ბ) აქტივებს წარმოადგენს;
გ) მოგებას უზრუნველყოფს;
დ) საკრედიტო პორტფელის ზრდას უზრუნველყოფს.

136. დეპოზიტური, ფულადი და საკრედიტო მუტიპლიკატორების გაანგარიშებისას (c) ინიციალით აღინიშნება:
ა) დეპოზიტები;
ბ) ბანკებში ჭარბი რესურსების არსებობა;
გ) არალიკვიდური სახსრები;
დ) კლიენტის მიერ საკუთარი ანგარიშიდან გატანილი ნაღდი ფულის მოცულობა.

137. საშემნახველო დეპოზიტები არის:
ა) პროცენტის მომტანი მხოლოდ უცხოელ ინვესტორების ანაბარი;
ბ) პროცენტის მომტანი მხოლოდ იურიდიული პირების ანაბარი;
გ) პროცენტის მომტანი მხოლოდ ფიზიკური პირების ანაბარი;
დ) პროცენტის მომტანი იურიდიული და ფიზიკური პირების ანაბარი.

138. კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალი არის:
ა) ლიკვიდურობის რეზერვი გამრავლებული ბანკში მობილიზებული სახსრების სიდიდეზე;

ბ) ლიკვიდურობის რეზერვს გამოკლებული ბანკში მობილიზებული სახსრების სიდიდე;
გ) ბანკში მობილიზებული სახსრების სიდიდეს დამატებული ლიკვიდურობის რეზერვი;
დ) ბანკში მობილიზებული სახსრების სიდიდეს გამოკლებული ლიკვიდურობის რეზერვი.

139. საქართველოში კომერციული ბანკების პასიურ ოპერაციებს არ მიეკუთვნება:
ა) კლიენტების ანგარიშების, ბანკი კორესპონდენტების ლორო ანგარიშების ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში გახსნა და მომსახურება;
ბ) საკუთარი ფასიანი ქაღალდების გამოშვება;
გ) მიღებული ბანკთაშორისი კრედიტები;
დ) ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში სესხები.

140. კრედიტის ფორმა, რომელიც მხოლოდ ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ გაიცემა არის:
ა) ოვერდრაფტი;
ბ) კონტოკორენტული კრედიტი;
გ) საბლანკო კრედიტი;
დ) ლომბარდული კრედიტი.

141. პროცენტის ავანსად გადახდას ითვალისწინებს:
ა) მარტივი პროცენტების მეთოდი;
ბ) წლიური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი;
გ) დისკონტური განაკვეთის მეთოდი;
დ) რთული საპროცენტო განაკვეთის მეთოდი.

142. ჩამოთვლილთაგან რომელი არ შედის ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზრის თავისებურებებში?:
ა) ბაზარი მობილურია და ის თითოეული გარიგების კონტრაგენტების მიერ გადაწყვეტილების ოპერატიულად მიღებას ითვალისწინებს;
ბ) ბანკის სტაბილურობა ანუ მოთხოვნა მიწოდებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები, საპროცენტო განაკვეთების ერთი დღიდან მეორემდე უცვლელობა;
გ) ბანკთაშორისი კრედიტების ბაზარი ფინანსური აქტივების სხვა ბაზრებთან არის დაკავშირებული;
დ) ბაზარი მაღალი ლიკვიდურობით გამოირჩევა.

143. ოპერაციების განხორციელების ვადების შეთანხმება და გადახდის არათავისდროულად გადახდაზე კონტრაგენტების თანაბარ პასუხისმგებლობას წარმოადგენს:
ა) ფულადი რესურსების სხვა ბაზრების მოკლევადიან ფინანსურ აქტივებზე გაცვლა;
ბ) მოგების მიღება არატრადიციული ბანკთაშორისი ოპერაციების ჩატარების ხარჯზე;

გ) რესურსების მოზიდვა ბანკის მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პროექტების რეალიზაციისათვის;
დ) ბანკის დადებითი იმიჯის შექმნა და მხარდაჭერა.

144. ბანკთაშორისი კრედიტის მიწოდების ვადის განსაზღვრის შედეგად რომელი ამოცანის გადაწყვეტაა შესაძლებელი?:
ა) ბანკის მიმდინარე ლიკვიდურობის უზრუნველყოფა;
ბ) მოგების მიღება ბანკის დროებით თავისუფალი ფულადი რესურსების ბაზარზე განთავსების ხარჯზე;
გ) სხვა ბანკების საქმიანობისა და განვითარების შესახებ ინფორმაციის შეგროვება;
დ) ფულადი რესურსების სხვა ბაზრების მოკლევადიან ფინანსურ აქტივებზე გაცვლა.

145. სინდიცირებული კრედიტი:
ა) შესაძლებელია ერთმა ან მეტმა ბანკმა მსესხებელს კრედიტები პარალელურად მიაწოდონ, რომლებიც სინდიკატში (კონსორციუმში) არიან გაერთიანებულები;
ბ) მხოლოდ პროცენტების ავანსად გადახდას ითვალისწინებს;
გ) ერთ მსესხებელზე ორი ან მეტი კრედიტორის მიერ სესხის გაცემას ითვალისწინებს, რომლებიც სინდიკატში (კონსორციუმში) არიან გაერთიანებულები;
დ) ერთ მსესხებელზე ერთი კრედიტორის მიერ სესხის გაცემას ითვალისწინებს, რომლებიც სინდიკატში (კონსორციუმში) არიან გაერთიანებულები.

146. სესხები თამასუქების გირაოს ქვეშ გულისხმობს იმას, რომ :
ა) სესხის გაცემისას თამასუქებზე საკუთრების უფლება ბანკზე არ გადაითმობა, ის თამასუქის მფლობელის მიერ განუსაზღვრელი ვადით ჩაიდება გირაოში, შემდგომში სესხის დაფარვის შემდეგ მისი უკუგამოსყიდვის უფლებით;
ბ) სესხის გაცემისას თამასუქებზე საკუთრების უფლება ბანკზე არ გადაითმობა, ის თამასუქის მფლობელის მიერ მხოლოდ განსაზღვრული ვადით ჩაიდება გირაოში, შემდგომში სესხის დაფარვის შემდეგ მისი უკუგამოსყიდვის უფლებით;
გ) ხდება მათი ბანკის მიერ შეძენა, რომლის შედეგად ისინი და მასთან ერთად თამასუქების მფლობელისაგან გადახდის მოთხოვნის უფლებაც მთლიანად მის განკარგულებაში გადადის;
დ) იგი კლიენტის მხოლოდ საგადამხდელო ბრუნვაში წარმოქმნილი დროებითი გარღვევის შემთხვევაში გაიცემა, როდესაც მისი მიმდინარე ფინანსური მოთხოვნები საკუთარ რესურსებს აჭარბებენ.

147. დაკრედიტების მეთოდი, რომლის მეშვეობით კრედიტის გაცემა და დაფარვა ხორციელდება არ არის:
ა) დაკრედიტება ნაშთის ფარგლებში;
ბ) დაკრედიტება ბრუნვის მიხედვით;
გ) დაკრედიტება სტაბილური შემოსავლის მიღების მიზნით;
დ) საკრედიტო ხაზი.

148. დაკრედიტების პროცესის ეტაპი არ არის:

ა) საკრედიტო პროექტის განხილვა;
ბ) საკრედიტო კომიტეტის დიფერენციაცია;
გ) დაკრედიტების პროცესში მისი შემდგომი კონტროლი;
დ) საკრედიტო დოკუმენტაციის გაფორმება.

149. წლიური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი მიუთითებს კრედიტზე ერთობლივი გადახდის შეფარდებას კრედიტის მოცულობასთან, ანუ თავისთავად:
ა) იგი არაშემოსავლიანობის განაკვეთს წარმოადგენს;
ბ) იგი შემოსავლიანობის განაკვეთს წარმოადგენს;
გ) იგი მცურავ საპროცენტო განაკვეთს წარმოადგენს;
დ) იგი ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს წარმოადგენს.

150. ბანკთაშორისო კრედიტის ბაზრის თავისებურება არ არის:
ა) ბაზარი ორიენტირებულია შემხვედრი გადასახადების გამოყენებაზე;
ბ) ბაზარი მაღალი ლიკვიდურობით გამოირჩევა;
გ) ბაზარზე ბანკთაშორისო კრედიტები, ძირითადად, 1-3 დღით გაიცემა და მოკლე ბანკთაშორისო კრედიტები პრაქტიკულად ნაკლებად გამოიყენება;
დ) ბანკის პერსონიფიკაციის ძალიან მაღალი ხარისხი, ანუ უნიფიკაციის არარსებობა.

151. ოვერდრაფტი არის:
ა) მოკლევადიანი დაკრედიტების ფორმა, რომლითაც ბანკი კლიენტს აძლევს უფლებას მის ანგარიშსწორების ანგარიშზე რიცხული ნაშთების გადამეტებით განახორციელოს გადახდები, ანუ ბანკი უშვებს კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიშზე სადებეტო (უარყოფითი) სალდოს არსებობას, ოვერდრაფტის შესახებ ბანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით;
ბ) გრძელვადიანი დაკრედიტების ფორმა, რომლითაც ბანკი კლიენტს აძლევს უფლებას მის ანგარიშსწორების ანგარიშზე რიცხული ნაშთების გადამეტების გარეშე განახორციელოს გადახდები.
გ) მოკლევადიანი დაკრედიტების ფორმა, რომლითაც ბანკი კლიენტს აძლევს უფლებას მის მიმდინარე ანგარიშზე რიცხული ნაშთების გადამეტებით არ განახორციელოს გადახდები.
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

152. საბლანკო კრედიტი ისეთი სახისაა, რომელსაც:
ა) კონკრეტული უზრუნველყოფა არ გააჩნია და ამიტომ, ძირითადად, დაკრედიტების თვალსაზრისით მისი გაცემა პირველი კლასის კლიენტებზე ხორციელდება;
ბ) ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ გასცემენ;
გ) გრძელვადიანი და დაბალი საპროცენტო განაკვეთის პირობებით გასცემენ;
დ) კონკრეტული უზრუნველყოფა გააჩნია და ამიტომ, ძირითადად, დაკრედიტების თვალსაზრისით მისი გაცემა ნებისმიერი კლასის კლიენტებზე ხორციელდება.

153. საერთო ღია სავალუტო პოზიცია არის:

ა) ბანკის ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით გრძელი ღია სავალუტო პოზიციების ჯამსა და მოკლე ღია სავალუტო პოზიციების ჯამს შორის უდიდესი;
ბ) პოზიცია, როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე;
გ) პოზიცია, როდესაც სხვადასხვა სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე;
დ) პოზიცია, როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური და ეროვნული ვალუტით ბანკის აქტივები და ვალდებულებები ტოლია.

154. სპოტი არის გარიგება, რომლის ანგარიშსწორება ხორციელდება გარიგების დადების დღიდან:
ა) 1 საბანკო დღის განმავლობაში;
ბ) 2 საბანკო დღის განმავლობაში;
გ) 3 საბანკო დღის განმავლობაში;
დ) 7 საბანკო დღის განმავლობაში.

155. ფორვარდი არის გარიგება, რომლის ანგარიშსწორება ხორციელდება გარიგების დადების დღიდან:
ა) 1 საბანკო დღეზე მეტი პერიოდის განმავლობაში;
ბ) 2 საბანკო დღეზე მეტი პერიოდის განმავლობაში;
გ) 3 საბანკო დღეზე მეტი პერიოდის განმავლობაში;
დ) 7 საბანკო დღეზე მეტი პერიოდის განმავლობაში.

156. ჰეჯირება წარმოადგენს გარიგებას, რომლის მიზანია:
ა) თავის დაზღვევა უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების და ფასების მკვეთრი ცვლილებისაგან;
ბ) საკრედიტო პორტფელის დიფერენციაცია;
გ) ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთებისა და ფასების მკვეთრი ცვლილების მიმართ ბანკის მიდგომის შეცვლა;
დ) ბანკის კრებსით ბალანსში სავალუტო პოზიციის კონტრფასის ყველა ანგარიშზე რიცხული ნაშთების შეცვლა.

157. გაფართოებული ლიცენზია ბანკს უცხოეთის არაუმეტეს:
ა) ექვს ბანკთან საკორესპონდენტო ურთიერთობის დამყარების უფლებას აძლევს;
ბ) შვიდ ბანკთან საკორესპონდენტო ურთიერთობის დამყარების უფლებას აძლევს;
გ) ხუთ ბანკთან საკორესპონდენტო ურთიერთობის დამყარების უფლებას აძლევს;
დ) სამ ბანკთან საკორესპონდენტო ურთიერთობის დამყარების უფლებას აძლევს.

158. ბლუმბერგის სავაჭრო სისტემაში შესაძლებელი არ არის:
ა) ფორვარდული სავალუტო გარიგებების დადება;
ბ) სპოტ სავალუტო გარიგებების დადება;
გ) სვოპ სავალუტო გარიგებების დადება;
დ) ფიუჩერსული სავალუტო გარიგებების დადება.

159. საქართველოში სავალუტო კონტროლის აგენტ(ებ)ს:
ა) საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს;
ბ) რწმუნებული ბანკები წარმოადგენენ;
გ) აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები წარმოადგენენ;
დ) საკანონმდებლო ხელისუფლება წარმოადგენს.

160. უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებულ საბანკო ოპერაციებს არ მიეკუთვნება:
ა) სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ საგადასახადო ვალდებულებების შესრულება;
ბ) ქვეყნის შიგნით სავალუტო სახსრების მოზიდვა–განთავსება;
გ) კლიენტურის სავალუტო ანგარიშების მომსახურება;
დ) საქართველოს რწმუნებულებთან და უცხოეთის ბანკებთან საკორესპონდენტო ურთიერთობების გამყარება.

161. ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში გარიგების გაუქმებისათვის ბლუმბერგის სავაჭრო სისტემაში მონაწილე ბანკს ეკისრება ჯარიმა მეორე მხარის სასარგებლოდ გარიგების თანხის:
ა) 0.3%–ის ოდენობით;
ბ) 3%–ის ოდენობით;
გ) 0.5%–ის ოდენობით;
დ) 5%–ის ოდენობით.

162. ღია სავალუტო პოზიცია არის გრძელი :
ა) როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე;
ბ) როდესაც სხვადასხვა სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე;
გ) როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური და ეროვნული ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე;
დ) როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები მეტია მის ვალდებულებებზე.

163. სავალუტო ფორვარდი არის:
ა) უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ვადიანი სავალუტო გარიგება ბირჟებზე, გარიგების დადების მომენტისათვის ფიქსირებული ფასით, ოპერაციის გარკვეული დროის შემდეგ შესრულებით;
ბ) ორ მონაწილეს შორის ერთოდაიმავე ვალუტით ერთდროულად დადებული ორი სავალუტო გარიგება, ვალუტის მიწოდების სახვადასხვა თარიღით და ვალუტის ყიდვა-გაყიდვის სხვადასხვა კურსით;
გ) უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის უვადო სავალუტო გარიგება ბირჟის გარეშე;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

164. ღია სავალუტო პოზიცია არის მოკლე:

ა) როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე;
ბ) როდესაც სხვადასხვა სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე;
გ) როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური და ეროვნული ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე;
დ) როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები მეტია მის ვალდებულებებზე.

165. აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრისას კურსის გასაანგარიშებელ პერიოდში დადებულ გარიგებებთან ერთად, მხედველობაში მიიღება იმ წინა ერთი საბანკო დღის გასაანგარიშებელ პერიოდში დადებული გარიგებები, როდესაც დაფიქსირდა, სულ მცირე, ერთი სავალუტო გარიგება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:
ა) სავაჭრო სისტემაში გასაანგარიშებელ პერიოდში დადებულ ბანკთაშორის იმ გარიგებათა ჯამური ბრუნვა, რომელიც შესაბამის მოთხოვნათა გათვალისწინებით მონაწილეობას იღებს ოფი-ციალური კურსის გაანგარიშებაში, 3 მლნ აშშ დოლარზე ნაკლებია;
ბ) გასაანგარიშებელ პერიოდში სავაჭრო სისტემაში დადებულ იმ ბანკთაშორის გარიგებათა რაოდენობა, რომელიც შესაბამის მოთხოვნათა გათვალისწინებით მონაწილეობას იღებს ოფიცია-ლური კურსის გაანგარიშებაში, ერთი ან ორზე ნაკლებია;
გ) სავაჭრო სისტემაში გასაანგარიშებელ პერიოდში დადებულ ბანკთაშორის იმ გარიგებათა ჯამური ბრუნვა, რომელიც შესაბამის მოთხოვნათა გათვალისწინებით მონაწილეობას იღებს ოფი-ციალური კურსის გაანგარიშებაში, 3 მლნ აშშ დოლარზე მეტია;
დ) გასაანგარიშებელ პერიოდში სავაჭრო სისტემაში დადებულ იმ ბანკთაშორის გარიგებათა რაოდენობა, რომელიც შესაბამის მოთხოვნათა გათვალისწინებით მონაწილეობას იღებს ოფიცია-ლური კურსის გაანგარიშებაში, სამი ან სამზე მეტია.

166. ბლუმბერგის სავაჭრო სისტემაში მონაწილე ბანკს არა აქვს უფლება უარი თქვას გამოყენებული კურსით:
ა) 100 000 აშშ დოლარის და მეტი მოცულობის გარიგების დადებაზე;
ბ) 200 000 აშშ დოლარის და მეტი მოცულობის გარიგების დადებაზე;
გ) 150 000 აშშ დოლარის და ნაკლები მოცულობის გარიგების დადებაზე;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

167. ბლუმბერგის სავაჭრო სისტემაში მონაწილე ბანკს ანგარიშსწორების ვადის დარღვევისათვის მეორე მხარის სასარგებლოდ ეკისრება ჯარიმა დადებული გარიგების თანხის:
ა) 0.2%-ის ოდენობით;
ბ) 0.5%-ის ოდენობით;
გ) 0.1%-ის ოდენობით;

დ) 0.3%-ის ოდენობით.

168. ფაქტორინგის დროს:
ა) 3–4 დღის განმავლობაში ხორციელდება მოთხოვნათა 80%-მდე საფასურის გადახდა ავანსის სახით, ხოლო დარჩენილ 20%–ს კლიენტი იღებს გადამხდელისაგან თანხის შემოსვლის შემდეგ;
ბ) 4–5 დღის განმავლობაში ხორციელდება მოთხოვნათა 90%-მდე საფასურის გადახდა ავანსის სახით, ხოლო დარჩენილ 10%–ს კლიენტი იღებს გადამხდელისაგან თანხის შემოსვლის შემდეგ;
გ) 1–2 დღის განმავლობაში ხორციელდება მოთხოვნათა 70%-მდე საფასურის გადახდა ავანსის სახით, ხოლო დარჩენილ 30%–ს კლიენტი იღებს გადამხდელისაგან თანხის შემოსვლის შემდეგ;
დ) 2–3 დღის განმავლობაში ხორციელდება მოთხოვნათა 90%-მდე საფასურის გადახდა ავანსის სახით, ხოლო დარჩენილ 10%–ს კლიენტი იღებს გადამხდელისაგან თანხის შემოსვლის შემდეგ.

169. იპოთეკური დაკრედიტების ერთდონიანი მოდელი გულისხმობს რომ:
ა) იპოთეკური კრედიტები, რომელიც მეორად ბაზარზე გაიცემა, სპეციალურად შექმნილ აგენტებზე გადაითმობა;
ბ) იპოთეკური კრედიტები, რომელიც პირველად ბაზარზე გაიცემა, სპეციალურად შექმნილ აგენტებზე გადაითმობა;
გ) მისი გამცემი ბანკი დამოუკიდებლად ახორციელებს იპოთეკური კრედიტების რეფინანსირებას ფასიანი ქაღალდების ხარჯზე გამოშვებული ობლიგაციების ტიპის ჩასადები ფურცლების სახით;
დ) მისი გამცემი ბანკი სხვა ბანკთან ერთად ახორციელებს იპოთეკური კრედიტების რეფინანსირებას ფასიანი ქაღალდების ხარჯზე გამოშვებული ობლიგაციების ტიპის ჩასადები ფურცლების სახით.

170. ირიბია ლიზინგი, როცა:
ა) ქონების მესაკუთრე თვითონ გადასცემს ობიექტს ლიზინგში;
ბ) ლიზინგურ გარიგებაში მრავალი მხარე მონაწილეობს;
გ) ქონების ლიზინგში გადაცემა არ ხდება შუამავლის დახმარებით;
დ) არც ერთი პასუხი სწორი არ არის.

171. ჩამოთვლილთაგან რომელია ლიზინგის უპირატესობა მეიჯარეებისათვის?:
ა) ლიზინგის დროს, აქტივების შეძენისა და დაფინანსების საკითხი ერთდროულად წყდება;
ბ) ლიზინგის გამცემს აქვს შესაძლებლობა მოიძიოს დამატებითი ფინანსური რესურსები საქმიანობის გაგრძელებისათვის და გაფართოებისათვის ლიზინგური ქონების დაგირავებით;
გ) ლიზინგი ფინანსურ რესურსებს მიმართავს უშუალოდ მატერიალური აქტივების შეძენაზე იხსნის რა საკრედიტო საშუალებების არამიზნობრივი გამოყენების პრობლემას;

დ) საწარმოო დანადგარებში ჩადებული ინვესტიციები ლიზინგის საშუალებით, იძლევიან შემოსავლის გენერირების გარანტიას.

172. ფაქტორინგული ოპერაციის დროს ხდება გადასახადის ვადამდელი გადახდა მაშინათვე მისი მიწოდების შემდეგ:
ა) მიწოდებული საქონლის ღირებულების 15%–მდე ოდენობით;
ბ) მიწოდებული საქონლის ღირებულების 65%–მდე ოდენობით;
გ) მიწოდებული საქონლის ღირებულების 75%–მდე ოდენობით;
დ) მიწოდებული საქონლის ღირებულების 85%–მდე ოდენობით.

173. იპოთეკური დაკრედიტების ორდონიანი მოდელი გულისხმობს რომ:
ა) იპოთეკური კრედიტები, რომელიც მეორად ბაზარზე გაიცემა, სპეციალურად შექმნილ აგენტებზე გადაითმობა;
ბ) იპოთეკური კრედიტები, რომელიც პირველად ბაზარზე გაიცემა, სპეციალურად შექმნილ აგენტებზე გადაითმობა;
გ) მისი გამცემი ბანკი დამოუკიდებლად ახორციელებს იპოთეკური კრედიტების რეფინანსირებას ფასიანი ქაღალდების ხარჯზე გამოშვებული ობლიგაციების ტიპის ჩასადები ფურცლების სახით;
დ) მისი გამცემი ბანკი სხვა ბანკთან ერთად ახორციელებს იპოთეკური კრედიტების რეფინანსირებას ფასიანი ქაღალდების ხარჯზე გამოშვებული ობლიგაციების ტიპის ჩასადები ფურცლების სახით.

174. ჩამოთვლილთაგან ფინანსური ლიზინგის სახეობა რომელ ნიშანს შეიცავს?:
ა) ლიზინგის გამცემისა და ლიზინგის მიმღების გარდა მონაწილეობს მესამე მხარე (ხელშეკრულების ობიექტის მწარმოებელი ან მომწოდებელი);
ბ) ლიზინგური შეთანხმების ხანგრძლივი პერიოდი;
გ) ხელშეკრულების დარღვევის შესაძლებლობა იჯარის გაცემის ძირითად ვადებში;
დ) სამივე პასუხს ერთობლივად.

175. ჩამოთვლილთაგან რომელია ლიზინგის უპირატესობა მოიჯარე ქვეყნებისათვის?:
ა) ლიზინგის საგნის გამყიდველი ღებულობს თავისი პროდუქციის გასაღების დამატებით შესაძლებლობას;
ბ) გარიგება გამყიდველისათვის ნაკლებად სარისკოა, ვინაიდან ლიზინგის გამცემი თავის თავზე იღებს ქონების ღირებულების დაბრუნების რისკს ლიზინგური გადასახადიდან;
გ) ლიზინგი ზრდის კაპიტალდაბანდებების საერთო დონეს;
დ) ლიზინგის საგნის მყიდველი ღებულობს თავისი პროდუქციის გასაღების დამატებით შესაძლებლობას.

176. ქონების ანაზღაურების მიხედვით ლიზინგი არასრული ანაზღაურებით ნიშნავს, რომ:

ა) ლიზინგური ხელშეკრულების ვადის განმავლობაში არ ხდება ლიზინგის გამცემისათვის ქონების საფასურის გადახდა;
ბ) ერთი ლიზინგური ხელშეკრულების ვადის განმავლობაში ხდება ქონების ნაწილობრივი ამორტიზაცია და ლიზინგის გამცემს გადაეხდება ქონების საფასურის ნაწილი;
გ) ერთი ლიზინგური ხელშეკრულების ვადის განმავლობაში ხდება ქონების სრული ამორტიზაცია და ლიზინგის გამცემს გადაეხდება ქონების საფასური;
დ) ყველა პასუხი მცდარია.

177. მეიჯარისათვის ლიზინგმა ჩამოთვლილთაგან რომელი ნაკლოვანება შეიძლება განაპირობოს? :
ა) საერთაშორისო მულტივალუტურ ლიზინგურ გარიგებებში არსებობს სავალუტო რისკების სრული გარანტიები;
ბ) საერთაშორისო ლიზინგი, რომელიც აგებულია საგადასახადო საფუძველზე, არ განაპირობებს ზარალს ლიზინგის გამცემი ქვეყნისათვის;
გ) ფინანსური ლიზინგის დროს საიჯარო გადასახადები გრძელდება კონტრაქტის ბოლომდე, მაშინაც კი, როცა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ლიზინგურ ქონებას დაძველებულად აქცევს;
დ) ყველა პასუხი მცდარია.

178. ტრადიციული გირავნობის საბუთის ნაკლოვანება არის:
ა) ძირითადი თანხისა და საპროცენტო განაკვეთის ყოველთვიური გადასახადები არ იზრდება;
ბ) თუ საბაზრო საპროცენტო განაკვეთის სიდიდე შემცირდა, ტრადიციული გირავნობის საბუთზე საპროცენტო განაკვეთი არ შემცირდება;
გ) იმისათვის, რომ შემცირებული საპროცენტო განაკვეთი იქნეს გამოყენებული, რეფინანსირების განხორციელება არ იქნება საჭირო;
დ) ყველა პასუხი მცდარია.

179. ფაქტორინგი:
ა) დებიტორული დავალიანების თავისდროული ინკასირების ან მათგან მთლიანად განთავისუფლების შესაძლებლობას არ იძლევა;
ბ) დაფინანსების წყაროების მიღების შესაძლებლობას არ აადვილებს;
გ) გაყიდვების აღრიცხვასთან დაკავშირებული მუდმივი დანახარჯების გაზრდის შესაძლებლობას იძლევა;
დ) ყველა პასუხი მცდარია.

180. დახურული ფაქტორინგის შემთხვევაში:
ა) კრედიტორი ხელშეკრულების მიხედვით მიწოდების ვალდებულებებს ასრულებს;
ბ) დებიტორი გაფრთხილებულია იმის შესახებ, რომ გარიგებაში მონაწილეობს ფაქტორი და გადახდებს მის ანგარიშზე ახორციელებს;
გ) დებიტორს ფაქტორინგული მომსახურების ხელშეკრულების არსებობის შესახებ საქმის კურსში არ აყენებენ და ასე აგრძელებენ მომწოდებლებისათვის

გადასახადების გადახდას, რომელიც, თავის მხრივ, მათ ფაქტორის სასარგებლოდ მიმართავს;
დ) ყველა პასუხი მცდარია.

181. რეგრესის არსებობა ნიშნავს, რომ:
ა) კრედიტორისაგან გადასახადის მიღების შემთხვევაში გარკვეული პერიოდის შემდეგ ფაქტორი ვალის გადახდასთან დაკავშირებით მოთხოვნას წარუდგენს მომწოდებელს;
ბ) დებიტორისაგან გადასახადის მიუღებლობის შემთხვევაში გარკვეული პერიოდის შემდეგ ფაქტორი ვალის გადახდასთან დაკავშირებით მოთხოვნას წარუდგენს მომწოდებელს;
გ) მომწოდებლისათვის აზრი არა აქვს დებიტორული დავალიანება გადაუთმოს საიმედო მყიდველს, რომელსაც კარგი და ხანგრძლივი საკრედიტო ისტორია გააჩნია;
დ) ყველა პასუხი მცდარია.

182. შებრუნებული ლიზინგის დროს:
ა) ლიზინგის გამცემები იხდიან თანხის მხოლოდ ნაწილს, რომელიც აუცილებელია ლიზინგის ობიექტის ყიდვისათვის. ეს ფინანსური საშუალებები მოიზიდება და აკუმულირდება აქციების გამოშვებისა და მათი გავრცელების გზით ლიზინგის გამცემებს შორის, რომლებიც მონაწილეობას იღებენ გარიგების დაფინანსებაში;
ბ) ფირმა - მიწის, შენობების, დანადგარების მფლობელი - მიყიდის ამ საკუთრებას ფინანსურ ინსტიტუტს და ამავდროულად აფორმებს ხელშეკრულებას თავისი ყოფილი საკუთრების გრძელვადიანი იჯარით გაცემის თაობაზე ლიზინგის პირობებით;
გ) ქონების ლიზინგში გადაცემა ხდება შუამავლის დახმარებით;
დ) ყველა პასუხი მცდარია.

183. ოპერატიული ლიზინგის დროს:
ა) გარიგება გამყიდველისათვის ნაკლებად სარისკოა, ვინაიდან ლიზინგის გამცემი თავის თავზე იღებს ქონების ღირებულების დაბრუნების რისკს ლიზინგური გადასახადიდან;
ბ) ლიზინგური გადასახადის განაკვეთი ჩვეულებრივ უფრო მაღალია, ვიდრე ფინანსური ლიზინგის დროს, დანახარჯების ანაზღაურების არარსებობის გამო;
გ) ლიზინგური გადასახადის განაკვეთი ჩვეულებრივ უფრო დაბალია, ვიდრე ფინანსური ლიზინგის დროს, დანახარჯების ანაზღაურების არარსებობის გამო;
დ) ყველა პასუხი მცდარია.

184. თუ კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის მოცულობა შეადგენს 800 მლნ ლარს, მაშინ მის მიერ ერთი პირისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს:
ა) 90 მლნ ლარს;
ბ) 120 მლნ ლარს;
გ) 140 მლნ ლარს;

დ) 180 მლნ ლარს.

185. კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინონ სუბორდინირებული სესხის მიღების თაობაზე ხელშეკრულება გაფორმებიდან:
ა) 1 თვის განმავლობაში;
ბ) 2 თვის განმავლობაში;
გ) 1 კვირის განმავლობაში;
დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

186. თუ კომერციული ბანკის რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მოცულობა შეადგენს 200 მლნ ლარს, საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს არანაკლებ:
ა) 36 მლნ ლარი;
ბ) 28 მლნ ლარი;
გ) 24 მლნ ლარი;
დ) 18 მლნ ლარი.

187. ეროვნული ვალუტის საშუალო ნაშთის დასაცავ მინიმალურ რეზერვთან დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკს გადაახდევინებს ფულად ჯარიმას, მოცემული დანაკლისის:
ა) 1.9 %-ს;
ბ) 2.8 %-ს;
გ) 3.6 %-ს;
დ) 4.2 %-ს;

188. თუ კომერციული ბანკის საკრედიტო დაბანდების მოცულობა შეადგენს 900 მლნ ლარს, მაშინ მის მიერ გაცემული ყველა საბლანკო სესხის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს:
ა) 135 მლნ ლარს;
ბ) 315 მლნ ლარს;
გ) 225 მლნ ლარს;
დ) 190 მლნ ლარს.

189. თუ კომერციული ბანკის რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მოცულობა შეადგენს 400 მლნ ლარს, პირველადი კაპიტალი უნდა იყოს არანაკლებ:
ა) 34 მლნ ლარი;
ბ) 26 მლნ ლარი;
გ) 32 მლნ ლარი;
დ) 22 მლნ ლარი.

190. თუ კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის მოცულობა შეადგენს 700 მლნ ლარს, მაშინ მის მიერ გაცემული ყველა მსხვილი სესხისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს:

ა) 250 მლნ ლარს;
ბ) 350 მლნ ლარს;
გ) 400 მლნ ლარს;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

191. თუ კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის მოცულობა შეადგენს 1,2 მლრდ ლარს, მაშინ მისი კრებსითი საერთო ღია სავალუტო პოზიცია არ უნდა აღემატებოდეს:
ა) 120 მლნ ლარს;
ბ) 240 მლნ ლარს;
გ) 320 მლნ ლარს;
დ) 460 მლნ ლარს.

192. კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან საქართველოს ეროვნულ ბანკის წერილობითი თანხმობის გარეშე:
ა) არ დაუშვან თავიანთი კაპიტალის და რეზერვების შემცირება აქციების უკუგამოსყიდვის ან სარეზერვო აქტივების განთავსების გზით;
ბ) დაუშვან ინსაიდერთა სასარგებლოდ კრედიტებისა და ვალდებულებების გაცემა და საბანკო მომსახურების გაწევა აუტსაიდერებთან შედარებით უფრო ხელსაყრელი და შეღავათიანი პირობებით;
გ) საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინონ სუბორდინირებული სესხის (ვალის) მიღების თაობაზე ხელშეკრულება მისი გაფორმებიდან 1 კვირის განმავლობაში;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

193. თუ კომერციული ბანკის სააქციო კაპიტალის მოცულობა შეადგენს 1,5 მლრდ ლარს, მაშინ მისი ძირითადი სასუალებების ნარჩენი ღირებულება ბიურიდიულ პირთა კაპიტალში ბანკის ინვესტიციების საერთო თანხასთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს:
ა) 900 მლნ ლარს;
ბ) 950 მლნ ლარს;
გ) 1,15 მლრდ ლარს;
დ) 1,05 მლრდ ლარს.

194. თუ კომერციული ბანკის რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მოცულობა შეადგენს 600 მლნ ლარს, მისი საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს არანაკლებ:
ა) 88 მლნ ლარი;
ბ) 94 მლნ ლარი;
გ) 58 მლნ ლარი;
დ) 72 მლნ ლარი.

195. თუ კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის მოცულობა შეადგენს 1,7 მლრდ ლარს, მაშინ მისი კრებსითი საერთო ღია სავალუტო პოზიცია არ უნდა აღემატებოდეს:

ა) 620 მლნ ლარს;
ბ) 240 მლნ ლარს;
გ) 340 მლნ ლარს;
დ) 480 მლნ ლარს.

196. თუ კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის მოცულობა შეადგენს 700 მლნ ლარს, მაშინ მის მიერ გაცემული ყველა მსხვილი სესხისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს:
ა) 990 მლნ ლარს;
ბ) 350 მლნ ლარს;
გ) 1,4 მლრდ ლარს;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

197. თუ კომერციული ბანკის საკრედიტო დაბანდების მოცულობა შეადგენს 600 მლნ ლარს, მაშინ მის მიერ გაცემული ყველა საბლანკო სესხის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს:
ა) 280 მლნ ლარს;
ბ) 150 მლნ ლარს;
გ) 120 მლნ ლარს;
დ) 440 მლნ ლარს.

198. თუ კომერციული ბანკის რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მოცულობა შეადგენს 1,1 მლრდ ლარს, მისი პირველადი კაპიტალი უნდა იყოს არანაკლებ:
ა) 68 მლნ ლარი;
ბ) 88 მლნ ლარი;
გ) 92 მლნ ლარი;
დ) 78 მლნ ლარი.

199. თუ კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის მოცულობა შეადგენს 300 მლნ ლარს, მაშინ მის მიერ ერთი პირისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს:
ა) 60 მლნ ლარს;
ბ) 80 მლნ ლარს;
გ) 45 მლნ ლარს;
დ) 75 მლნ ლარს.

200. დასაცავი მინიმალური რეზერვების გაანგარიშება ხდება :
ა) საშუალო მოზიდული სახსრების დამატებით მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმაზე;
ბ) საშუალო მოზიდული სახსრების გამოკლებით მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმაზე;
გ) საშუალო მოზიდული სახსრების გამრავლებით მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმაზე;

დ) საშუალო მოზიდული სახსრების გაყოფით მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმაზე.

201. ბანკის მიერ ნაკისრი ვალდებულებების (ბალანსურ ან გარებალანსურ უწყისებში) აღურიცხველობის შემთხვევაში, აღურიცხველობის თითოეულ ფაქტზე ბანკი ჯარიმდება:
ა) 1000 ლარის ოდენობით;
ბ) 500 ლარის ოდენობით;
გ) 300 ლარის ოდენობით;
დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

202. კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინონ სუბორდინირებული სესხის მიღების თაობაზე ხელშეკრულება გაფორმებიდან:
ა) 1 თვის განმავლობაში;
ბ) 2 თვის განმავლობაში;
გ) 10 დღის განმავლობაში;
დ) ორი კვირის განმავლობაში.

203. თუ კომერციული ბანკის საკრედიტო დაბანდების მოცულობა შეადგენს 280 მლნ ლარს, მაშინ მის მიერ გაცემული ყველა საბლანკო სესხის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს:
ა) 70 მლნ ლარს;
ბ) 80 მლნ ლარს;
გ) 90 მლნ ლარს;
დ) 110 მლნ ლარს.

204. დასაცავი პერიოდი არის:
ა) ორკვირიანი პერიოდი, რომელიც იწყება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მეჩვიდმეტე დღეს, ხუთშაბათს და მთავრდება ოთხშაბათს;
ბ) ერთთვიანი პერიოდი, რომელიც იწყება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მეოცე დღეს, ხუთშაბათს და მთავრდება ოთხშაბათს;
გ) სამკვირიანი პერიოდი, რომელიც იწყება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან ოცდამეორე დღეს, ხუთშაბათს და მთავრდება ოთხშაბათს;
დ) ერთკვირიანი პერიოდი, რომელიც იწყება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მეთვრამეტე დღეს, ხუთშაბათს და მთავრდება ოთხშაბათს.

205. კომერციული ბანკი ან მისი ადმინისტრატორი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ბანკის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურისა და წესების მიღებას და/ან აღნიშნული შიდა კონტროლის პროცედურისა და წესების დაცვას, დაჯარიმდება:
ა) 3000 ლარის ოდენობით;
ბ) 5000 ლარის ოდენობით;

გ) 2000 ლარის ოდენობით;
დ) 1000 ლარის ოდენობით.

206. ყველა ინსაიდერის კოეფიციენტის გამოთვლისას ბანკის მიერ ყველა ინსაიდერისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის:
ა) 10 %-ს;
ბ) 15 %-ს;
გ) 20 %-ს;
დ) 25 %-ს.

207. უნაღდო ანგარიშსწორების პრინციპებია:
ა) გადახდის ვადიანობის და გადახდის უზრუნველყოფის პრინციპები;
ბ) საგადახდო ბრუნვის პრინციპები;
გ) ვადაგადაცილების პრინციპი;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

208. პირისათვის უცხოურ ვალუტაში ანგარიშის გახსნის შემთხვევაში ამავე პირს ეხსნება მიმდინარე ანგარიში ლარში, თუ:
ა) მას აქვს ანგარიში ეროვნულ ვალუტაში იმავე ბანკში;
ბ) მას არ აქვს ანგარიში ეროვნულ ვალუტაში იმავე ბანკში;
გ) მას აქვს ანგარიში უცხოურ ვალუტაში იმავე ბანკში;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

209. დასაშვებია უცხოური ვალუტით ნებისმიერი საბანკო ოპერაციის განხორციელება, გარდა:
ა) საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის მიწოდებასა და/ან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული გადაუხდელობისა;
ბ) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული პირის სასარგებლოდ რეზიდენტის მიერ განხორციელებული გადახდებისა;
გ) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული პირის სასარგებლოდ არარეზიდენტის მიერ განხორციელებული გადახდებისა;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

210. SWIFT-ის ავტორიზებული შეტყობინების მეშვეობით :
ა) რეზიდენტ ბანკს, რომელსაც მეორე რეზიდენტ ბანკში გახსნილი აქვს საკორესპონდენტო ანგარიში უფლება აქვს ამავე ბანკში გახსნას სადეპოზიტო ანგარიში;
ბ) არარეზიდენტ ბანკს, რომელსაც მეორე არარეზიდენტ ბანკში გახსნილი აქვს საკორესპონდენტო ანგარიში უფლება აქვს ამავე ბანკში გახსნას მიმდინარე ანგარიში;
გ) რეზიდენტ ბანკს, რომელსაც მეორე არარეზიდენტ ბანკში გახსნილი აქვს საკორესპონდენტო ანგარიში უფლება აქვს ამავე ბანკში გახსნას ნომინალური მფლობელობის ანგარიში;

დ) რეზიდენტ ბანკს, რომელსაც მეორე რეზიდენტ ბანკში გახსნილი აქვს საკორესპონდენტო ანგარიში უფლება აქვს სხვა ბანკში გახსნას საკასო მომსახურების ანგარიში.

211. ბანკში პირს შეიძლება გაეხსნას:
ა) მიმდინარე ანგარიში;
ბ) სადეპოზიტო ანგარიში;
გ) საკასო მომსახურების ანგარიში;
დ) ყველა მათგანი.

212. ფიზიკური პირისათვის დასაშვებია ინტერნეტბანკის საშუალებით ანგარიშის გახსნა, თუ:
ა) აღნიშნულ პირს არ აქვს გახსნილი ანგარიში ამავე ბანკში;
ბ) აღნიშნულ პირს გახსნილი აქვს ანგარიში სხვა ბანკში;
გ) აღნიშნულ პირს გახსნილი აქვს ანგარიში ამავე ბანკში;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

213. ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში:
ა) არსებული საკორესპონდენტო ანგარიშები იხურება და ხდება ახალი სალიკვიდაციო ანგარიშის გახსნა ეროვნულ ბანკში;
ბ) არსებული საკორესპონდენტო ანგარიშები არ გადაიტანება სხვა ბანკში;
გ) სალიკვიდაციო ანგარიშები იხურება;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

214. ბანკს შეუძლია არამეწარმე ფიზიკურ პირს, რომელსაც ამავე ბანკში უკვე გახსნილი აქვს ანგარიში მისი ვერიფიკაციის შემთხვევაში ახალი ანგარიში გაუხსნას:
ა) მხოლოდ განაცხადისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის საფუძველზე;
ბ) მხოლოდ მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის საფუძველზე;
გ) მხოლოდ განაცხადის საფუძველზე;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

215. ვადიანი დეპოზიტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა, შეტანა, გადარიცხვა და გატანა, გარდა სადეპოზიტო სერტიფიკატის შემთხვევისა, შესაძლებელია:
ა) მხოლოდ დეპოზიტის მფლობელი პირის მიმდინარე ანგარიშის ან მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიშის მეშვეობით;
ბ) მხოლოდ დეპოზიტის მფლობელი პირის მიმდინარე ანგარიშის მეშვეობით;
გ) მხოლოდ დეპოზიტის მფლობელი პირის ნომინალური მფლობელობის ანგარიშის მეშვეობით;
დ) მხოლოდ დეპოზიტის მფლობელი პირის საკორესპონდენტო ანგარიშის მეშვეობით.

216. ნომინალური მფლობელობის ანგარიში შეიძლება გაეხსნას:
ა) იმ რეზიდენტ იურიდიულ პირს, რომელიც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე ეწევა ფასიანი ქაღალდების ბაზრის დამფუძნებელი პირის საქმიანობას;
ბ) იმ არარეზიდენტ იურიდიულ პირს, რომელიც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე ეწევა ოქროს ბაზრის შუამავალი პირის საქმიანობას;
გ) იმ არარეზიდენტ ფიზიკურ პირს, რომელიც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე ეწევა სავალუტო ბაზრის შუამავალი პირის საქმიანობას;
დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

217. კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ გაუხსნან ანგარიშები, მისი გახსნისათვის საჭირო საბუთების შესაბამისი წესით დამოწმებული ან ლეგალიზებული ასლების ფოსტის მეშვეობით წარდგენის საფუძველზე, შემდეგ პირებს:
ა) ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში რეგისტრირებულ და მოქმედ ბანკებში ანგარიშის მქონე და, შესაბამისად, ამ ბანკების მიერ იდენტიფიცირებულ ფიზიკურ პირებს;
ბ) ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში რეგისტრირებულ და მოქმედ ბანკებში ანგარიშის მქონე და, შესაბამისად, ამ ბანკების მიერ იდენტიფიცირებულ იურიდიულ პირებს;
გ) იურიდიულ პირებს, რომლებსაც უკვე გახსნილი აქვთ ანგარიშები საქართველოში მოქმედ სხვა კომერციულ ბანკებში;
დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

218. ბანკს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ანგარიშის (ანგარიშების) არდახურვის შესახებ იმ შემთხვევებში:
ა) თუკი ამავე კლიენტს ბანკში გახსნილი აქვს სხვა ანგარიში (ანგარიშები), რომლებზეც იმავე პერიოდის განმავლობაში ხორციელდებოდა კლიენტის ოპერაციები;
ბ) თუკი ამავე კლიენტს ბანკში გახსნილი აქვს სხვა ანგარიში (ანგარიშები), რომლებზეც იმავე პერიოდის განმავლობაში არ ხორციელდებოდა კლიენტის ოპერაციები;
გ) თუკი ამავე კლიენტს სხვა ბანკში გახსნილი აქვს საკორესპონდენტო ანგარიში (ანგარიშები);
დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

219. ანგარიშის გახსნისას ბანკმა უნდა მოახდინოს კლიენტის გადამოწმება ანუ:
ა) სეგმენტაცია;
ბ) ვერიფიკაცია;
გ) ტრანსფორმაცია;
დ) ნულიფიკაცია.

220. საკასო მომსახურების ანგარიში ეხსნებათ:
ა) მხოლოდ კომერციულ ბანკებს, მათ ფილიალებს და განყოფილებებს (სერვის-ცენტრებს);

ბ) მხოლოდ იურიდიულ პირებს;
გ) მხოლოდ ფიზიკურ პირებს;
დ) იურიდიულ და ფიზიკურ პირებს.

221. საბიუჯეტო ორგანიზაციას და/ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ბანკში ანგარიშის გასახსნელად არ სჭირდება:
ა) ამხანაგობის ხელშეკრულება ან სანოტარო წესით დამოწმებული წესდება;
ბ) საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა;
გ) დაწესებულების უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში;
დ) განაცხადი ანგარიშის გახსნაზე.

222. საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნის ბანკის ფილიალი საკორესპონდენტო ანგარიშის გასახსნელად ბანკს არ წარუდგენს:
ა) ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს და ხელმოწერის ნიმუშს;
ბ) ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
გ) დოკუმენტაციას (ან შევსებულ კითხვარს), რომელიც ასახავს ბანკში უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის პოლიტიკას;
დ) განაცხადს ანგარიშის გახსნის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს ფილიალის უფლებამოსილი პირი.

223. ბანკებს არ შეუძლიათ გახსნან შემდეგი სახის აკრედიტივები:
ა) დაფარული და არადაფარული;
ბ) გამოთხოვითი და გამოუთხოვარი;
გ) ფასის მომტანი და ზარალიანი;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

224. მიმწოდებლის მიერ გამოწერილი საგადახდო მოთხოვნა–დავალების რიგით მეორე ბლანკი:
ა) გადამხდელის მომსახურე ბანკის მიერ არ გაიგზავნება მიმწოდებლის მომსახურე ბანკში;
ბ) დაუბრუნდება გადამხდელს ოპერაციის განხორციელების დასტურად;
გ) წარმოადგენს გადამხდელის ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერის საფუძველს;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

225. საინკასო დავალება:
ა) თავისი შინაარსით წარმოადგენს გარკვეული ტიპის სადებეტო საგადახდო დავალებას, რომლის გაცემა გადამხდელის ბანკისთვის ხდება საქართველოს კანონმდებლობით, შესაბამისი უფლებებით აღჭურვილი პირის მიერ;

ბ) ხორციელდება დაუდგენელ ვადებში შეუტანელი გადასახადებისა და სხვა გადასახადების უდავო წესით გადახდევინებით სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების განკარგულების საფუძველზე;
გ) „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში და სხვა საკანონმდებლო აქტებში მოცემული არაფინანსური სანქციებისა და ადმინისტრაციული ჯარიმების გადახდევინებით, თუ ამ აქტებით გათვალისწინებულია საინკასო დავალებით სახსრების ამოღება;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

226. გამოთხოვითი აკრედიტივი შეიძლება დაამოწმოს შემსრულებელმა ბანკმა, თუ:
ა) ემიტენტი ბანკი უფლებამოსილებას აძლევს ან თხოვს მეორე ბანკს დაადასტუროს მისი გამოუთხოვარი აკრედიტივი;
ბ) არსებობს ემიტენტის მტკიცე ვალდებულება იმის შესახებ, რომ აკრედიტივის თანხა არ შეიცვალოს, ან არ გაუქმდეს დაინტერესებული მხარეების თანხმობის გარეშე;
გ) ხორციელდება საქონლის მიწოდების პერიოდული ანაზღაურება შემდგომი გადახდისა და იმპორტიორის ანგარიშზე დავალიანების ჩარიცხვის პირობით;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

227. ჩეკში აღნიშნული თანხის გადახდა ჩეკის გამცემის ბანკში შეიძლება:
ა) ჩეკის გაცემის მიერ ცალკე დეპონირებული სახსრების შეუსაბამო ანგარიშიდან;
ბ) ჩეკის გაცემის შესაბამის ანგარიშზე სახსრების უკმარისობის შემთხვევაში, თუ ორგანიზაციები დროულად ასრულებენ ვალდებულებებს ბანკის სახსრების ხარჯის გარეშე;
გ) ჩეკების სრულად გამოუყენებლობის შემთხვევაში გამოყენებული დეპონირებული სახსრების ფარგლებში;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

228. მიმწოდებელი ანგარიშთა რეესტრს წარუდგენს ბანკს სამ ცალად, რომელთაგან მეორე:
ა) გამოიყენება მემორიალური ორდერის სახით;
ბ) მიეცემა მიმწოდებელს, როგორც ამ რეესტრის მიუღებლობის დასტური;
გ) სასაქონლო-სატრანსპორტო საბუთების თანდართვით და ბანკის აღნიშვნით, ეგზავნება ემიტენტ ბანკს გადამხდელისათვის გადასაცემად;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

229. აკრედიტივი შეიძლება გაიხსნას:
ა) მხოლოდ ორ მიმწოდებელთან ანგარიშსწორებისათვის;
ბ) ორზე მეტ მიმწოდებელთან ანგარიშსწორებისათვის;
გ) მხოლოდ ერთ მიმწოდებელთან ანგარიშსწორებისათვის;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

230. საგადახდო მოთხოვნა–დავალება წარმოადგენს:

ა) მიმოწოდებლის მოთხოვნას მყიდველისათვის გადატვირთვის საბუთების საფუძველზე გაანაღდოს ხელშეკრულების შესაბამისად მიწოდებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების ღირებულება;
ბ) გადამხდელის ანგარიშზე სახსრების უქონლობის მიუხედავად, ავანსის სახით, მიმოწოდებლის მოთხოვნას მყიდველისათვის გადატვირთვის საბუთების საფუძველზე გაანაღდოს ხელშეკრულების შესაბამისად მიწოდებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების ღირებულება;
გ) მომსახურე ბანკისადმი ორგანიზაციის დავალებას მისი ანგარიშიდან განუსაზღვრელი თანხის გადარიცხვის შესახებ;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

231. დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების ახალი სისტემა ექსპლუატაციაში შევიდა:
ა) 2009 წლის 3 დეკემბერს;
ბ) 2010 წლის 3 ნოემბერს;
გ) 2012 წლის 3 მაისს;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

232. IBAN-ის ანგარიშები საქართველოში წარმოდგენილია:
ა) 12 სიმბოლოთი;
ბ) 21 სიმბოლოთი;
გ) 22 სიმბოლოთი;
დ) 15 სიმბოლოთი.

233. გადამხდელი ორგანიზაცია ბანკს წარუდგენს საგადახდო დავალებას დადგენილი ფორმის ბლანკით მხარეთა სხვადასხვა ქალაქში განლაგებისას:
ა) 2 ცალად;
ბ) 3 ცალად;
გ) 4 ცალად;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

234. ჩეკების სრულად გამოყენების შემთხვევაში გამოუყენებელი დეპონირებული სახსრების ფარგლებში:
ა) შეიძლება გაიცეს ახალი ჩეკი ორგანიზაციის განცხადების საფუძველზე;
ბ) არ შეიძლება გაიცეს ახალი ჩეკი ორგანიზაციის განცხადების საფუძველზე;
გ) ბანკები ჩეკებს აბარებენ საანგარიშსწორებო ცენტრში;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

235. ისეთ შემთხვევაში, როდესაც სესხის ძირითადი თანხის ნაშთის გადაუხდელი ნაწილი გირაოს ან იპოთეკის საბაზრო ღირებულების ტოლია, კლასიფიკაცია შეიძლება იყოს:
ა) „არასტანდარტული“;
ბ) „საეჭვო“;

გ) „უიმედო“;
დ) „სტანდარტული“.

236. არალიკვიდურ უზრუნველყოფას მიეკუთვნება:
ა) მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მოძრავი ქონებისა და მასთან დაკავშირებული უფლებების დაგირავება;
ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უპირობო გარანტიები;
გ) ფულადი დეპოზიტები თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით, დაგირავებული და დაჯავშნული სესხის მიმცემ ბანკში;
დ) საქართველოს სამთავრობო ფასიანი ქაღალადები.

237. „სპეციალური რეზერვი“ არის:
ა) რეზერვი, რომელიც შექმნილია აქტივების შესაძლო დანაკარგების დასაფარავად და სასესხო პორტფელის გასაზრდელად;
ბ) რეზერვი, რომელიც შექმნილია რაიმე სპეციალური აქტივის შესაძლო დანაკარგების დასაფარავად, ბანკის ბალანსზე აქტივში ნაჩვენები ღირებულების გადიდების მიზნით;
გ) რეზერვი, რომელიც შექმნილია რაიმე სპეციალური აქტივის შესაძლო დანაკარგების დასაფარავად, ბანკის ბალანსზე აქტივში ნაჩვენები ღირებულების შემცირების მიზნით;
დ) რეზერვი, რომელიც შექმნილია აქტივების შესაძლო დანაკარგების დასაფარავად, მათ დაუკონკრეტებლად.

238. საბლანკო სესხი არის:
ა) სესხი, რომლისთვისაც არ არსებობს გირაო ან იპოთეკა, ან თუ არსებობს, მას არ გააჩნია საბაზრო ღირებულება, ანდა ღირებულების მიუხედავად იგი არ ყოფილა სწორად რეგისტრირებული;
ბ) სესხი, რომლის დაფარვის პირობების შეცვლაზე მსესხებლის იურიდიული ან ფინანსური მდგომარეობის გამო, არსებობს შეთანხმება ბანკსა და მსესხებელს შორის;
გ) სესხი, რომლისთვისაც არსებობს გირაო ან იპოთეკა, ან თუ არსებობს, მას გააჩნია საბაზრო ღირებულება, ანდა ღირებულების მიუხედავად იგი არ ყოფილა სწორად რეგისტრირებული;
დ) სესხი, რომლის დაფარვის პირობების შეცვლაზე მსესხებლის იურიდიული ან ფინანსური მდგომარეობის გამო, არ არსებობს შეთანხმება ბანკსა და მსესხებელს შორის.

239. სესხი კლასიფიცირდება „არასტანდარტულად“, თუ:
ა) გირაოსთან ან იპოთეკასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არის სწორად გაფორმებული, ან როდესაც გირაო ან იპოთეკა არ არის სწორად რეგისტრირებული და ამ ორიდან რომელიმე სიტუაციას თან ერთვის გადახდის პირველადი წყაროს საშუალებით ამ ვალის სათანადო დაფარვის დაქვეითებული უნარი;

ბ) სესხის ვადაგადაცილებული პროცენტი დაუფარავია და დამატებულია ძირითად თანხაზე;
გ) სესხის გადახდის ძირითადი წყაროები, მათ შორის, კაპიტალი და მოგება, არის საკმარისი ვალის გადასახდელად;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

240. ისეთ შემთხვევაში, როდესაც სესხის ძირითადი თანხის ნაშთის გადაუხდელი ნაწილი აღემატება გირაოს ან იპოთეკის საბაზრო ღირებულებას, კლასიფიკაცია შეიძლება იყოს:
ა) „არასტანდარტული“ან „საეჭვო“;
ბ) „საეჭვო“ ან „უიმედო“;
გ) „უიმედო“ ან „სტანდარტული“;
დ) „უიმედო“ან „არასტანდარტული“.

241. ვადაგადაცილებული სესხი არის:
ა) სესხი, რომლის ძირითადი თანხის (მისი ნაწილის) ან პროცენტის განვადებით გათვალისწინებული თანხის გადახდა არ მომხდარა 15-ზე მეტი კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმებული თარიღის შემდეგ;
ბ) სესხი, რომლის ძირითადი თანხის (მისი ნაწილის) ან პროცენტის განვადებით გათვალისწინებული თანხის გადახდა არ მომხდარა 10-ზე მეტი კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმებული თარიღის შემდეგ;
გ) სესხი, რომლის ძირითადი თანხის (მისი ნაწილის) ან პროცენტის განვადებით გათვალისწინებული თანხის გადახდა არ მომხდარა 20-ზე მეტი კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმებული თარიღის შემდეგ;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

242. კომერციული ბანკები ვალდებულება არ არის:
ა) „უიმედოდ“ კლასიფიცირებული აქტივი ჩამოწერონ ბანკის აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვიდან;
ბ) „არასტანდარტულად“ კლასიფიცირებული აქტივი ჩამოწერონ ბანკის აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვიდან;
გ) აქტივების რისკის კლასიფიკაციის მიხედვით საჭირო რეზერვების შექმნა აწარმოონ სააღრიცხვო პერიოდში მიღებული შემოსავლების მიუხედავად;
დ) განახორციელონ აქტივების კლასიფიკაცია და შექმნან შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვები.

243. ეროვნულმა ბანკმა შეიძლება მოითხოვოს ნებისმიერი აქტივის კლასიფიკაციაში ცვლილება და მასთან ერთად შესაძლო დანაკარგების რეზერვის დამატებით შექმნა, თუ ეროვნული ბანკის აზრით, ეს გამართლებულია ისეთი ფაქტებითა და გარემოებებით, როგორიც არ არის:
ა) ბანკის საკრედიტო პორტფელის საერთო მდგომარეობის გაუარესება;

ბ) ბანკის ფაქტობრივი დანაკარგები ისეთი სახის სესხებზე, როგორიცაა კონკრეტული სექტორისათვის, დარგების ან რეგიონებისათვის გაცემული სესხები;
გ) ბანკის მენეჯმენტის უმოქმედობა (არასაკმარისი ქმედება), ამოიღოს პრობლემური დეპოზიტები;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

244. კომერციულმა ბანკმა უნდა მოახდინოს თავისი აქტივების კლასიფიკაცია დადგენილი კატეგორიების მიხედვით:
ა) ყოველ ორ კვირაში;
ბ) ყოველთვიურად;
გ) ყოველკვირეულად;
დ) ყოველკვარტალურად.

245. ბანკმა რესტრუქტურიზებული სესხის კლასიფიკაცია უნდა განახორციელოს ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიც არ არის:
ა) სესხის საერთო ვადის ცვლილება მის თავდაპირველ ვადასთან;
ბ) სესხის პროცენტის დაფარვის ვადების ცვლილება თავდაპირველ ვადებთან;
გ) სესხის განახლების ან მისი დაფარვის ვადის გაგრძელების რაოდენობა;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

246. ბანკის სხვა უძრავი ქონების კლასიფიკაცია და მათი შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნა ხორციელდება იმ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რომ ბანკი ვალდებულია გაასხვისოს მის საკუთრებაში არსებული სხვა უძრავი ქონება:
ა) შეძენიდან მაქსიმუმ ერთი წლის განმავლობაში;
ბ) შეძენიდან მაქსიმუმ ორი წლის განმავლობაში;
გ) შეძენიდან მაქსიმუმ სამი წლის განმავლობაში;
დ) შეძენიდან მაქსიმუმ ხუთი წლის განმავლობაში.

247. რესტრუქტურიზებული სესხის კლასიფიკაცია არ შეიცვლება, თუ შემცვლელი ან დამატებითი მოვალე არის მსესხებლის:
ა) ინსაიდერი;
ბ) აუტსაიდერი;
გ) ინსაიდერი და აუტსაიდერი;
დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

248. ბანკის მიერ სასესხო პორტფელის ანალიზის შედეგად ჭარბი რეზერვის გამოვლენისას, ბანკი:
ა) დააკრედიტებს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ანგარიშს და დაადებეტებს ბანკის ხარჯების ანგარიშს;
ბ) დაადებეტებს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ანგარიშს და დააკრედიტებს ბანკის შემოსავლების ანგარიშს;
გ) დაადებეტებს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ანგარიშს და დააკრედიტებს ბანკის ხარჯების ანგარიშს;

დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

249. თუ მოვალე ფარავს სესხს, რომელიც ჩამოიწერა საბალანსო უწყისიდან და ეს მოხდა გათვალისწინებული პერიოდის განმავლობაში, ბანკი:

ა) თავიდან დაადებეტებს ფულადი სახსრების ანგარიშს და დააკრედიტებს აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ანგარიშს, რის შემდეგაც იგი დაადებეტებს აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ანგარიშს და დაადებეტებს დარეზერვებაზე გაწეული ხარჯების ანგარიშს;

ბ) თავიდან დაადებეტებს ფულადი სახსრების ანგარიშს და აქტივების შესაძლო დანაკარგების რე-ზერვების ანგარიშს;

გ) თავიდან დააკრედიტებს ფულადი სახსრების ანგარიშს და აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ანგარიშს;

დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

250. თუ მოვალე არ გადაიხდის ჩამოწერილ სესხს 5 წლის განმავლობაში, სესხის როგორც ძირითადი თანხა, ისე პროცენტები, გაუქმებული იქნება სპეციალური გარესაბალანსო უწყისის ანგარიშიდან ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისი გატარებების მეშვეობით:

ა) რაც არ ნიშნავს სესხის ამოღების პროცედურების შეწყვეტას;

ბ) რაც ნიშნავს სესხის ამოღების პროცედურების შეწყვეტას;

გ) რაც ნიშნავს დეპოზიტის ამოღების პროცედურების შეწყვეტას;

დ) არცერთი პასუხი სწორი არ არის.

ლიტერატურა:

ა) სეგმენტი

1. ვანიშვილი მ., ფარულავა დ. ფინანსების საფუძვლები. - თბილისი, 2015.
2. ვანიშვილი მ., ვანიშვილი ნ. საჯარო ფინანსები. - თბილისი, 2017.

ბ) სეგმენტი

1. გვენეტაძე ლ., კორპორაციული ფინანსები (სალექციო კურსი ბაკალავრიატისათვის, ნაწილი პირველი). - თბილისი, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, 2010.

გ) სეგმენტი

1. ცაავა გ., ხანთაძე გ. საბანკო საქმე, სახელმძღვანელო, გადამუშავებული მეორე გამოცემა. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014.
2. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ. საბანკო საქმის საფუძვლები (სახელმძღვანელო). თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2013.